

ISSN 1987-8729



9771987872003

მიხედვეთ მინას; მინა ფაგარუერთ და გაფაობობთ თქვენ!

+ ასო - ტ

ეპრესი საცენტრო

სამარკეტო-საინვესტიციო ჟურნალი

№5 (128), მაისი, 2023



AGRICULA



თბილისი, ქეთევან
დედოფლის #77



599 87 34 07

აგროტექსი

მს ურთ მიმღებ ადრესი, საღვ ღა უნდა მოსახული?

გთავაზოგთ უციკალურ, ჰაერგამტარი მულჩის და დამცავი პალევაგის ფართო ყაორტიმენტს, რომელიც დაიცავს მცენარეს სარევოლებისაგან, გადახურების, დამცვრობების და წაყინვისაგან, შეძმის სასურველ კლიმატს მცენარის უკეთესი აღმოცევისა და განვითარებისათვის, გამიზრდით მოსავლიანობას, დაგიზოგავთ დროს და თანხას.

პროდუქციის დეტალური გაცნობა შესაძლებელია კომპანიის შოუ რუმში, მისამართზე თბილისი, დიდუბე პლაზა პირველი სართული.

[WWW.AGROTEKS.RU.](http://WWW.AGROTEKS.RU)

დაგვიკავშირდით:
599 529 529 / 599 761321;
E-mail: tmikadze@yahoo.com



ახალი აგრარული საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

მაისი, 2023 წელი.

№5 (128)

სარედაქციო კოლეგია:

შპოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),
ნუგუარ ებანიძე, მიხეილ სოხაძე,
ლაშა აკადამი, ნესტან გვაგაშვილი, თამარ
სანიაძე, რუსულან გვაგაშვილი (ჯანსულტანტი),
თეონა ნიაძე, ნუგუარ იქნიანიძე,
ნოდარ ბრეგვაძე, გიორგი ბარისაშვილი
(მეცნიერება-მეცნიერებას რედაქციის
რედაქტორი), სახტა ჯაბინძე, ლავაზა
(რედაქტორი), მახაბე ჩახარბეგიშვილი
(ელ. უფრანგ agronews.ge-ს ქანსულტანტი)
თამა გვაგაშვილი (მაგდ. ვერს. რედაქტორი).
editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიურები, მეცნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევაზ მახარაძები, თავარისარავა,
გერამ ალექსიძე, გივი ჯაფარიძე,
შაურ ფუტკარაძე, ნიდარ ჩხარტაშვილი,
ნუგუარ ებანიძე, პატა კილუაშვილი,
ელიზა შავაქიძე, ზვანდ ბრეგვაძე,
კლორა გვაგაშვილი, ნესტან გვაგაშვილი,
გოგოლა მარგვლაშვილი, ანა გულაძე,
ლავაზა უჯამჯურიძე, აღოლ ტექნიკაშვილი,
ნატო კაუაძე, ქუპურა ქრისა, კაბა ლაშხი,
ჯემალ კაცაძე, ნურა მემარნიშვილი,
ნიკოლაშ ჭავაშვილი, მახეიდ ჭიჭავა,
დავით ბისტაშვილი, რეზო ჯანიძე,
ოსებ სარეკლამები, თენგიზ ქურაშვილი,
ანატოლი გორგაძე, მურად გარუბავა,
ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე.

დაავაბალონა გიორგი მასურაძემ

ექიმებანელობს
თავისუფალი პრესის პრინციპით.
The journal acts in accordance with the principles of free press.

© სამეცნიერო უფლება დაცულია.
All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
„ივერიელი“
(ციფრულ აბილიტეტება)

www.dspace.nplg.gov.ge

ახალი აგრარული საქართველო
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა გრიფონშ“

გამომცემლი:

„აგრარული სექტორის
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა):

Association of Agrarian Sector Companies (ASCA).
საქართველოს რეგიონული ეკონომიკური
პრიორიტეტების კვლევითი (კნტრი „რეგიონიკა“;
Regionica — Georgian Research Center for Regional
Economic Priorities).

კომპანიის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ./tel: +995 (032) 2 90-50-00
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

www.agronews.ge
ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

ნომერში წაიკითხავთ:

შევიძლია გეზი ხორგალი და

სარისებანი

4 კური ვარარმორთ!

გოსტების კულტურას

9 დასიფიკაცია და პოლიპიური

თავისებურებანი

მხარეთა მავრებელების

9 დანაღვებ გრძოლის

გურარივი საშუალებები

12 შეხედების ინფექციის

ზედამხედველობა

საქართველოში

16 ვარდისა გარანტის -

მოვლა, მოყვანის ტექოლოგია

17 რეკომენდაციები უვეზები

სორბის შესაძლებელი

20 რეკომენდაციები უვეზები

სორბის შესაძლებელი

22 ლოგიოს გარების საჭრელი

და ღვარებულების ჩამოყოლება

23 კიბრის მოყვანა

24 არმილის მოვლა-მოყვანა,

რამდენიმე გამორჩეული ჯიში

26 მეურნეობის

მდგრადირების საქართველოში

და აერსაერიციები



„მეცნიერებების უზრუნველყოფის სამსახური“ (SQL)



7

სასვი - „ოქროს ცაყოფა“,
მულტიფუნქციური მხარეა და
გლობულური მდგრადი
განვითარების მიზნები

„თანამედროვე სელექციის მსხვილ-
ნაყოფა უკელი ქაცვი ევრაზიაში ფარ-
თოდ გავრცელებული და ერთ-ერთი
საკმაოდ ძირიად ღირებული, მულტი-
ფუნქციური კულტურაა.“

29 მომზადებლება და საცავო
საქმე გამოსარიგობაში

32 ფურიკის რჩანის
თვითგანასაღებების უნარი -
თაობათა ცვლა

33 გაეთ კითხვა აპროცესით?

34 გაეთ კითხვა ვებგვირასით?

ურნალ „ახალ აგრარულ საქართველოში“

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების ცენტრი:

- ურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედეგებს სოფლის მეურნეობის თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:
- მიღებულ სტატიებს განიხილავს სარედაქციო კოლეგია და სამეცნიერო საბჭო.
- სტატიები მიიღება ქართულ, უკრაინულ, რუსულ, ინგლისურ, ენგბზე. სტატია გამოქვეყნდება დედნის ენაზე (ქართული რეზიუმის თანხლებით).

სტატიის გაფორმების ცენტრი

- სტატიის მინიმალური მოცულობა 2,5 მაქსიმალური 7 გვერდს, A4 ფორმატი;
- რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან ინგლისურ (აუცილებლად) ენებზე (100-200 სიტყვა);
- საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- სტატიის შესავალი, ძირითად ტექსტი და დასკვნითი ნაწილი;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ქართული ტექსტის ისტორია გამოიყენეთ ქართულ შრიფტი (sylfaen) სილფანი, ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, კიდიდან დაშორება 2,5 სმ.



შეგვიძლია მატი ცორებალი და სარისებიანი კური ვაწარმოოთ!

„ჩვენ მარტო იმას უდეა ვეცადოთ, პური იმდენი მოვიზვანოთ,
რომ სასყიდელი არ გაგვიძლეს, ჩვენ და ჩვენს შინურ გაზარს ეყოს“

ილია ქავშავაძე

მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა სულ უფრო მეტად ექცევა მსოფლიო საზოგადოებრიობის, მთავრობებისა და მედია-საშუალებების ცენტრში. აღნიშნული განპირობებულია როგორც მოსახლეობის ზრდით, ისე სულ უფრო გახშირებული ბუნებრივი კატაკლიზმებითა და კორონა ვირუსის პანდემიით. ზემოთქმულს დაემატა ომი, რომელიც დაიწყო რუსეთმა უკრაინის ნინააღმდეგ. ორივე ქვეყანა მსოფლიო ხორბლის 25% მწარმოებელი და ექსპორტიორია. ეს ფაქტორი სერიოზულ დაღს დაასვამს ხორბლის სტაბილურ მოსავალს და უმნივავეს სასურსათო კრიზის გამოიწვევს მრავალ ქვეყანაში.

FAO-სა და მსოფლი ბანკის პროგნოზით, 2022-25 წლებში სურსათზე ფასები სულ მცირე 35%-ით გაიზრდება, ხოლო მოშიმშილეთა რაოდენობა მსოფლიოში 1.5 მილიარდ ადამიანს გადააჭარბებს.

ბოლო ორი წლის მანძილზე მსოფლიოს ბირჟებზე ხორბლის ფასი მკვეთრად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა (240\$-დან 450\$-მდე).

ხორბლის ტრადიციულად ექსპორტიორმა ქვეყნებმა დაიწყეს საკუთარი სასურსათო რესურსების გაფრთხილება, მარაგების ზრდა და უარს არც დამატებითი საექსპორტო ბარიერების შემოღებაზე ამბობენ. ამასთან, ბევრმა ქვეყანამ როგორც ექსპორტიორმა, ისე იმპორტდამოკიდებულმა (რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, რუმინეთი, აზერბაიჯანი, სომხე-

თი და სხვ.) შემოილო სუბსიდირების პროგრამები, რამდენიმემ კი სურსათზე დამატებული ღირებულების გადასახადიც კი შეაჩერა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომი ფასების შენარჩუნების მიზნით.

რა ხდება საქართველოში ამ მიმართულებით? ის, რაც ჩვენ ქვეყანაში ხორციელდება, სრულიად არადამაკმაყოფილებელია! მხოლოდ სასურსათო დანიშნულებით გვჭირდება მაქსიმუმ 600 000 ტონა ხორბალი და ვაწარმოებთ მხოლოდ 100-120 ათას ტონას. შედარებისათვის: ახალ ზელანდიას 5-ჯერ მეტი მოსავალი მოჰყავს 1 ჰექტარზე (12,0 ტონა). მინიმალური რენტაბელობის მისახლევად ჩვენ 2023-2025 წლებში გვჭირდება საშუალო საპეტეტარო მოსავლიანობის სულ ცოტა 3.0 ტონამდე გაზრდა (70-80 ათას ჰექტარზე). უნდა მომზადდეს მაღალრეპროდუქციული მეთესლეობის ბაზა და გატარდეს თანამედროვე აგროტექნოლოგიური ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსავლიანობის ზრდას. პირველი რიგის ამოცანად უნდა დავისახოთ, სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია და 2027-2028 წლისათვის 100-110 ათას ჰექტარზე მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად საჭირო ხორბლის 60-65% წარმოება.

სახელმწიფო მდგრადობისთვის სტრატეგიულ დარგებს მუდმივი ყურადღება და არსებითი დახმარება ესაჭიროება. პრიორიტეტი უნდა გახდეს გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი პროექტები.

საქართველოში მოქმედებს ფქვილისა და პურის ტექნიკური რეგლამენტი. სამწუხაორი, იგი არ სრულდება. მაგალითად, ფქვილის სინესტის მაჩვენებელი თითქმის ყოველთვის აღემატება სტანდარტს, ხოლო წონა, პირიებით – დაბალია, რაც პურის მრეწველობისათვის არა მარტო დისკრიმინაციული, არამედ დამაზიანებელიცაა, – 14-15%-ის ზევით ფქვილი შედის რეაქციაში სინესტესთან და პურის მოცულობაზე აისახება.

ფქვილისა და პურის ტექნიკური რეგლამენტის დაცვა გამოიწვევს, ერთ მხრივ, მაღალი ხარისხის ფქვილისა და პურის წარმოებას, ხოლო მეორე მხრივ – მათზე ფასების ზრდას. საქართველოში 2021 წლის 1 ივლისიდან შეწყდა ფქვილის სუბსიდირების პროგრამა, რამაც გამოიწვია პურზე ფასების ზრდა. პურის საცალო ფასი მარკეტში 70-90 თეთრით გაიზარდა და ეს პროცესი ბოლო დრომდე გრძელდება. სახელმწიფოს ამოცანა უნდა იყოს არა დაბალხარისხიანი ფქვილისა და პურის წარმოების სუბსიდირება დაბალი ფასების შენარჩუნებისათვის, არამედ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის კომპენსაციის (პურის ბარათის სახით, რაც სახელმწიფოს ყოველთვიურად არაუმეტეს 3,5 მლნ. ლარი დაუჯდება) გაცემა, რათა მათ შეძლონ მაღალხარისხიანი პურ-პროდუქტების შეძენა, და ამით საკუთარი ჯანმრთელობის დაცვა და შემოსავლების გაზრდა.

თუ სახელმწიფოს მიზანია პურ-პროდუქტებზე დაბალი ფასების შენარჩუნება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია გავიზიროთ ეკონომიკურად ძლიერი დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება, პურზე დღგ-ს ტარიფის 7%-მდე

შემცირებისა ან საერთოდ განულებისა.

ამით ასევე მოწესრიგდება პურის ვაჭრობის საკითხებიც. როგორიცაა გაუგებარი ქეშბექები, რეტრობონუსები, სავაჭრო დათმობები და აქტივობები (ამ ფასდანამატებმა პურის ღირებულება 50-55 პროცენტით გაზარდა, ეს იმ დროს, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ფასდანამატი არ აღემატება 3-5 პროცენტს, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი ნორმატიული აქტებით) და გაყიდული პურის უკან დაბრუნების სისტემა.

ქვეყნა, რომელსაც გააჩნია ხელ-საყრელი ბიოგეოკლიმატური პირობები მარცვლეულის ნარმოების გადიდებისთვის, მისი მოყვანის უნარ-ჩვევები და ტრადიციები, მარცვლეულის გადამზუშავებელი საწარმოო სიმძლავრები და ნარმოებული პროდუქციის გასაღების ადგილობრივი ბაზარი, არ უნდა იყოს აბსოლუტურად დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებიდან მარცვლეულის იმპორტზე (მითუმეტეს, რომ იმპორტირებული ხორბალი ძირითადად უხარისხო და საფურაუება). სადღეისოდ, მართალია, საქართველოში რუსეთიდან ხორბალი აღარ შემოდის, რომელიც ჩაანაცვლა ამ ქვეყნიდან ფქვილის იმპორტზე. რუსეთის ფედერაციის სატარიფო პოლიტიკის გამო წარმოიშვა ე.წ. „ფასების საექსპორტო მაკრატებით“ გავირებულ ხორბალსა და შედარებით იაფ ფქვილს შორის, რამაც პრობლემები შეუქმნა საქართველოში ხორბლის მწარმოებლებს. – მათ 2022 წელს რეკორდულად მაღალი მოსავალი მოიწიეს (157.4 ათასი ტონა 54 ათას ჰაზე), მაგრამ წისქვილკომბინატებმა ზემოსხენებული იაფი, ფაქტობრივად დემპინგური რუსული ფქვილის იმპორტის გამო შეწყვიტეს ადგილობრივი მწარმოებლებისაგან ხორბლის შესყიდვა, რის გამოც ადგილობრივი მწარმოებლების არარეალიზებული ხორბლის მოცულობამ 30-35 ათას ტონას მიაღწია. შედეგად – ხორბლის ქართველი მწარმოებლები ორგვარ ზარალს განიცდიან – მათ, ერთი მხრივ, უხანგრძლივდებათ საწყობების იჯარის დრო, შესაბამისად უწევთ დამატებითი ხარჯების გაწევა, მეორეც, ეს საწყობები არაა გათვალისწინებული პროდუქციის გრძელვადიანი შენახვისათვის, იქ ხორბალი კარგავს სამომხმარებლო კონდიციას, მათ შორის მღრღნელებისაგან.

თუ წისქვილკომბინატები არ მიიღებენ ადგილობრივ ხორბალს, ეს კატასტროფული იქნებოდა არა მარტივი ადგილობრივი მწარმოებლებისთვის, არამედ მთელი დარგისათვის, სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა ქვეყნის სასურათო და ზოგადად, ეროვნულ უსაფრთხოებას.

ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ქვეყანაში არსებული აგრარული პოლიტიკის შეცვლა და მისი მსოფლიო გლობალურ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა უნდა იქნეს მიჩნეული.

საქართველოს აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებულად კონტრასტულია იმ წარმატებების ფონზე, რაც ჩვენმა უშუალო მეზობლებმა – აზერბაიჯანმა და სომხეთმა თავიანთი თანმიმდევრული და ეფექტიანი აგრარული პოლიტიკით მიაღწიეს ხორბლით თვითუზრუნველყოფაში. – დღეისათვის მათთან ეს მაჩვენებელი, ჯერადად აღემატება საქართველოსას.

აღნიშნული წარმატების საფუძველი გახდა აგრარული სექტორის მხარდამჭერი შესაბამისი სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტთან და ტრანზაქციაზე – დაწყებული თესლის, დიზელის საწვავისა და სასუქების სუბსიდირებიდან და დამთავრებული გარანტირებული შესყიდვითა და შეღავათიანი კრედიტით. მაგალითად, საქართველოსთან შედარებით ტერიტორიით – ორჯერ მცირე და საგრძნობლად ნაკლები მოსახლეობის, გაცილებით არახელსაყრელი პიორ-, გეო- და კლიმატური პირობების მქონე სომხეთში მარც-

ვლეულით დაკავებული ფართობი თითქმის იმდენივეა, რამდენიც საქართველოში, ხოლო ხორბლით თვითუზრუნველყოფის დონე – 1.5-ჯერ უფრო მაღალი. სომხეთში მარცვლეულის წარმოების სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებულია ხორბლის ნათესი ფართობის გაზრდა ამჟამინდელი 76 ათასი ჰა-დან სულ ცოტა, 100 ათას ჰა-მდე, ხორბლით თვითუზრუნველყოფის გაზრდა – 30-დან 50 პროცენტამდე; მარცვლეულის ყოველ ჰექტარ ნაოეს ფართობზე სახელმწიფო სუბსიდირება ფარავს 300 კგ თესლის, 250 კგ აზოტოვანი სასუქებისა და 70 ლ დიზელის საწვავის დაბრუნებას (ჯამში – 160-დან 280 დოლარამდე), ფაქტობრივად – მთლიანი ხარჯების თითქმის ნახევარს. ამასთან, ხორბლის მწარმოებლებთან დადგებულ ხელშეკრულებაში – გარიგებაში ჩადებულია ხორბლის სავალდებულო შესყიდვა წინასწარ დადგენილი, ფიუჩერსული ფასით.

ხორბლის საქართველოში წარმოების სტიმულაციისთვის აღნიშნული მიდგომა საგულისხმო და დიდწილად გასათვალისწინებელიცაა, რადგანაც ჩვენთან ყოველ ჰექტარ ხორბლის ნათესზე მწარმოებლის საშუალო ხარჯმა უკვე 2200 ლარს (სიმინდზე – 2600 ლარს) მიაღწია.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია აზერბაიჯანის მაგალითი, რომლის ხორბლით თვითუზრუნველყოფის დონე თითქმის 80 პროცენტია. დღეისათვის აზერბაიჯანის ხორბლის ნათესი ფართობები საქართველოსას 8-ჯერ, ხოლო ხორბლით თვითუზრუნველყოფის დონე – თითქმის 4-ჯერ აღმატება.



ჩვენი მეზობლები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და მარცვლეულის ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის საგრძნობი ზრდა აქვთ დაგეგმილი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით შთამბეჭდავია აზერბაიჯანის გეგმები. – გავიხსენით, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ამ ქვეყნის პრეზიდენტმა დაითანხმა უკრაინის ხელმძღვანელობა აზერბაიჯანისათვის გრძელვადიანი იჯარით ერთი მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მინის გადაცემის შესახებ – იქ აზერბაიჯანის მზარდი საჭიროებებისთვის აგრარული პროდუქციის ნარმოების თაობაზე.

ამასთან ერთად აზერბაიჯანსა და სომხეთში, ისევე როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში, აკრძალულია ფქვილის იმპორტი, რითაც გაკოტრებისაგან დაცულია ხორბლის გადამუშავებელი კომპანიები (ნის-

ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევენ უკრაინას რუსული აგრესის მოსავერიებლად, მარცვლეულის ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის მიზნით მათ უარი თქვეს შედარებით იაფი უკრაინული ხორბლის მიღებაზე და ამ უკანასკნელისთვის თავიანთი სახელმწიფო საზღვრები მხოლოდ ტრანზიტისთვის გახსნეს.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ხორბლის წარმოების ზრდა ქვეყნის თვითუზრუნველყოფის არსებითად ამაღლებისთვის. ამისათვის კი უნდა მოახდინოს ხორბლის გარანტირებული რაოდენობის შესყიდვა საპაზროზე არანაკლები ფასით, ანუ თვითონრებულებაზე სულ ცოტა 30 პროცენტით მეტად, რაც ხორბლის ადგილობრივ მწარმოებლებს მისცემს შესაძლებლობას, დაფარონ მიმდინარე ხარჯები, საკრედიტო ვალდებულებები და შეი-

ნილად მიგვაჩნია წისქვილკომბინატებს, პურის ქარხნებს, აღნიშნული პროდუქციის სხვა მწარმოებლებს შეუმცირდეთ თავის დროზე ლარის კურსის დაცვის საბაბით უზომოდ გაზრდილი კომუნალური (წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის) ტარიფები. ეს საგრძნობლად შეამცირებდა პურის საცალო ფასს, იქნებოდა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი როგორც აღნიშნული სექტორის მხარდაჭერის, ისე მოსახლეობის სოციალური დაცულობის მიმართულებით.

დაუშვებელი და უპატიებელია, რომ ისეთი ბუნებრივი პირობების მქონე ძველია – საქართველო რომლის ბიოგეოლიმატური პოტენციალი, სულ მცირე, 10 მილიონი ადამიანის გამოკვებაა, ხელგანვითალ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, მით უფრო არსებული რეალობის და გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს მარცვლეულის მწარმოებლთა მხარდამჭერი, ფინანსურად, ორგანიზაციულად და ტექნიკურ-ტექნოლოგიურად უზრუნველყოფილი ორეტაპიანი (3-5 წლიანი) პროგრამა – „მარცვალი“ (100-110 ათას ჰექტარზე, 3,5-4 ტ/ჸა საშუალო მოსავლიანობით, პირველ ეტაპზე 350 ათასი ტონა ხორბლის წარმოება, ხოლო მეორე ეტაპზე – 400-420 ათასი ტონა ხორბლის წარმოება), რომელშიც ასევე გათვალისწინებული იქნება საკუთარი ელიტური თესლის წარმოების ღონისძიებები. ამით შესაძლებელი იქნება საქართველოს ხორბლით თვითუზრუნველყოფის დონე ჯერადად გაიზარდოს და ქვეყნის მოთხოვნილებები, სულ ცოტა, 60-65 პროცენტით დაკმაყოფილდეს.

მარცვლეულის, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სურსათის წარმოება, პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც მოკლე და საშუალო, ასევე გრძელ-ვადიან პერსეპტივიაში. აღნიშნულს მოითხოვს მსოფლიო სურსათის წარმოებაში შექმნილი ობიექტური რეალობა, საქართველოს საერთო ეკონომიკური ინტერესები და სურსათით უზრუნველყოფის ამოცანა.

**პაპატა აუღუსავილი,
გალიაზ დოლიძე, სუსო პაჩაძე,
დავით გალიაზავალი**



ქვილკომბინატები). საქართველოში ასეთივე აკრძალვის შემოღების ან ფქვილის მხოლოდ კვოტირებული (არა უმეტეს 20 პროცენტისა) იმპორტით შეზღუდვის გარეშე ქართული წისქვილკომბინატების მუშაობას პერსეპტივა არ გააჩნია. ამ დარგის პარალიზება კომერციულად არასაინტერესოდ ხდის ადგილობრივი სასურსათო ხორბლის წარმოებას, ქვეყნა კარგავს ასობით მილიონი ლარის შემოსავალს ბიუჯეტისთვის, კომპანიებისთვის და ფერმერებისთვის და უმუშევრად ტოვებს ათასობით მაღალკალიფიციურ სპეციალისტს.

საკუთარი მწარმოებლების ინტერესების დაცვაში საგულისხმო მაგალითს იძლევიან ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც (პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ეტც.). – მიუხედავად იმისა, რომ ისინი მასშტაბურ

ნარჩუნონ საკმარისი ეკონომიკური და ყოფითი მოტივაცია მომავალში აღნიშნული პროდუქციის უფრო მასშტაბური წარმოებისათვის. ვფიქრობთ, საკითხის მნიშვნელობისა და მის გადასაჭრელად მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებების გასატარებლად ყველაზე ეფექტიანი ფორმა იქნებოდა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის მიღება, რომლის ანალოგების წარმატებით რეალიზაციის თვალსაჩინო მაგალითის დემონსტრირება უკვე მოახდინეს ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა და სომხეთმა.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის პური იყო და რჩება კვების და კალორიების მიღების ძირითად წყაროდ, რის გამოც მისი ფასი არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური კატეგორიაცაა. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწო-

**ქაცვი - „ოპერა ცაცოვა“, გულტიფუნესიური მუსიკა და
გლობალური გდგრადი გაცილებების მიზნები**

თანამდებობის სალეპციის მსხვილებრივა უკალო ძალი ევრაზია-ში ფართოდ გავრცელებული ართ-ერთი საქართველოს დირექტორი, მულტილისტი და მიმღებელი, მულტილურენციური კულტურა. კერძოდ

1. ფიტომეციდინის განვითარების
და მოსახლეობის ჯანმრთელობის
განმტკიცების თვალთასედვით მისი
კენკრა შეიცავს ადამიანის სიცოცხ-
ლისათვის საჭირო თითქმის ყველა
მულტივიტამინს, 20-ზე მეტ მიკრო-
ელემენტს, სამკურნალო ზეთებს,
მჟავებს, მთრიმლავ ნივთერებებს,
პექტინებს, შაქარს, ონდს, ბუნებრივ
მცენარეულ ანტიბიოტიკებს, ონდ-
საც და სხვა ფიტოთერაპიულ ნივთი-
ერებებსაც.

ეს კი ძალზედ მნიშვნელოვანია მა-
ლალმთიანი რეგიონებში არსებული
იოდის და ვიტამინების პრობლემის
მოსახლეობად.

ქაცვის კენკრას აქვს მეტი კაროტი-
ნი, ვიდრე სტაფილოსა და გოგრას

ასევე აღსანიშნავია, რომ ფოთლებ-
სა და ქერქსაც აქვს მაღალი სამკურ-
ნალო თვისებები.

3. მელიორაციის, ნიადაგმცოდნეობის, კლიმატის გლობალური ცვლილებების პრევენციის, მიტი-გაციისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის კუთხით ქაცვი აღიარებულია, როგორც საკუეთესო ფიტომელიორაციული კულტურა. იგი ექსტრემალურ კლიმატურ პირობებშიც კი აუმჯობესებს ნიადაგის ნაყოფიერებას და იცავს მის ბიომრავალფეროვნებას. ეს უკანასკნელი იმით აიხსნება, რომ ქაცვის მცნარეებს ფესვებზე უწვითარდებათ კოურები, რომლებშიც თავის მხრივ ვითარდებიან აზოტ მაფიქსირებელი ბაქტერიები. ამ ბაქტერიებს აქვთ უნარი ნიადაგში დაფიქსირონ ჰა-ერის აზოტი, რომელიც ჰაერში 78

%-ია, ამით იგი ამაღლებს ნიადაგის ნაყოფიერებას და მოსახლეობის შემოსავლებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფესვთა
სისტემა უმეტეს შემთხვევაში განლა-
გებულია ნიადაგის ზედა ფენაში 30
სმ სიღრმეზე და ვრცელდება სხვა-
დასხვა მიმართულებით, ხიდან თით-
ქმის 10 მ სიგრძეზე:

ასეთი გრძელი, ძლიერ დატოტვილი ფესვთა სისტემა კარგად კრავს, ამაგრებს მის გარშემო არსებული ნიადაგის ნაწილაკებს, იცავს მათ წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზის ზემოქმედებისაგან. ეროზიებისაგან ასევე კარგად იცავს ნიადაგს ხშირი ფოთლებით კარგად დაფარული და ძლიერი ტოტებისაგან შემდგარი, ქაცვის ბუჩქი. იგი თავის თავზე იღებს წყლის, ქარის მექანიკურ ზემოქმედებას და იცავს ნიადაგს. ბუჩქი ასევე ხელს უშლის ნიადაგიდან ტენის აორთქლებას. ყოველივე ზემოალნიშნული, გამო ქაცვის კულტურა ამცირებს, რიგ შემთხვევებში კი სრულად სპობს ეროზიულ, შედეგად კი გაუდაბნოების, ნიადაგის დეგრადაციის პროცესის.

ალსანიშნავია, რომ ქაცვი ბუნებაში უპირატესად გავრცელებულია მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების კირქვიან ქვიშიან და ხირხატ ნიადაგზე. ის კარგად ვითარდება მზიან ადგილებში.

ევროპაში მას ვსვდებით ზღვის დონიდან 1 800 მეტრამდე ალპებში, ხოლო აზიაში 5 000 მეტრამდე.


მისი ჩვეულებრივი ჰაპიტატებია
მშრალი მდინარის ხეობები და ხირ-
ხირხატიანი ნიადაგები, ასევე კლდო-
ვანი ფერდობები და მთის ნაკადულე-
ბისა და რუების ქვიშაქვიანი ნაპირე-
ბი. როგორც დეკორატიული მცენარე
იგი გარცელებულია ნახევრად ბუ-
ნებრივ ბალებსა და ალპურ პარკებში,
ქაცვი ასევე კარგად იზრდება საკარ-
მიდამო ნაკვეთებში(3).



ଶାକ୍ତୀର ପ୍ରମାଣିତରେ



ପ୍ରକାଶକ ନାମ.



ქაცვის ფესვთა სისტემა კოურებითა
და კოურის ბაქტერიებით



ქაცვის ბუჩქი მთიან რეგიონში

აღსანიშნავია, რომ ბოლო დრომდე ქაცვის ბალებს არ რგავდნენ სანარმოო მიზნით. ამისათვის იყენებდნენ ველურ პირობებში გავრცელებულ მცენარეების ნაყოფებს. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მისი ტოტები დაფარულია ბასრი ეკლებით, ხოლო პატარა კენკრა უშუალოდ ეკვროდა დეროს, რაც ართულებს მათ შეგროვებას. თუმცა, ბოლო წლებში სელექციონერებმა შეძლეს უნიკალური ახალი მსხვილნაყოფიანობით, უეკლო ჯიშების გამოყვანა, ამ ჯიშებს პრაქტიკულად არ აქვთ ეკლები.

ქაცვის უახლესი უეკლო ჯიშები გამოირჩევიან მაღალმოსავლიანობით, ზამთარგამძლეობით, საშუალო ზომის, მსხვილი ნაყოფით და არიან ეკლის გარეშე.



უეკლო ქაცვის კენკრა



ქაცვის გავრცელების არეალი

თანამედროვე სელექციური ქაცვის ბუჩქების ტოტებზე ეკლები ან ძალიან იშვიათია, ან პატარა და საკმაოდ რბილია, ან საერთოდ არ არსებობს.

ქაცვის თანამედროვე ჯიშების კენკრა ძალიან დიდია (წონა 1,2 გ-მდე), ისინი ხასიათდება ტკბილი სასიამოვნო დელიკატური არომატით და მკვრივი მბზინავი კანით. მათი ფორმა ჩვეულებრივ წაგრძელებულია – კონტური ან ოვალურია. კენკრის ყუნწი გრძელია (5-6 მმ), რაც მნიშვნელოვნად უნდობს ხელს მათ შეგროვებას. ქაცვის უახლესი ჯიშების უზარმაზარი უპირატესობაა მათი მაღალი ზამთრგამძლეობა და მავნებლებისა და დაავადებების მიმართ რეზისტრობა. ქაცვის სანარმოო ნაკვეთების გაშენებასას მენარმეტ უნდა გაითვალისწინოს რომ ეს კულტურა ორსქესიანია, ამიტომ მაღალი, მყარი მოსავლის და მდგრადი წარმოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ დაირგოს მისი მდედრობითი და მამრობითი ფორმები – ექსპერტები გვთავაზობენ სამი მდედრი ნერგისა და ერთი მამრი ნერგის დარგვას, როგორც პრაქტიკამ დაგვანახა უმჯობესია დაირგოს ორი მამალი ნერგი, რადგან თუ მოულოდნელად ერთი გახმება, მეორე შეძლებს მისი ფუნქციის შესრულებას.

ქაცვი სინათლის მოყვარული მცენარეა. ის უნდა დაირგოს ლია, კარგად განათებულ მზიან ადგილებზე უმეტესად სამხრეთის ფერდობებზე ვინაიდან ჩრდილში ფოტოსინთეზი მცირდება და მცენარე სუსტდება.

ნიადაგის მჟავიანობა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მჟავე ნია-

დაგებზე, ფესვთა სისტემა ცუდად ვითარდება, ამიტომ მცენარეები აქ სამ წელიწადში სუსტდებიან და იღუპებიან.

ხებზე ჯერ ყვავილები ჩნდება და შემდეგ ფოთლების. ეს ფაზები აპრილის ბოლოს – მაისის დასაწყისში მიმდინარეობენ. ამიტომ მთიან რეგიონებში მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი არ გაიყინონ.

ყინვების დროს მიზანშეწონილია მცენარეების ფუმიგაცია. თანამედროვე ჯიშებში ყვავილობა და ნაყოფიერება იწყება, როგორც წესი, მე-3-მე-4 წელს.

ქაცვის უახლესი სელექციური ჯიშების წარმოების დროს მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ მოსავალი უფრო ადრე მნიშვნელობა ვიდრე ძველ ჯიშებში. როგორც წესი, ის მნიშვნელობა და მოსაკრებად მზად არის აგვისტოს ბოლოს. თუმცა, კენკრა შეიძლება დიდხანს დარჩეს ტოტებზე.

ამდენად ქაცვის კულტურის წარმოება სრულად პასუხობს გლობალური მდგრადი განვითარების პირველ (არა სილარიბეს), მეორე (არა შიმილს) მესამე (ჯანმრთელობა და კეთილდღეობა), მეთუმეტე (დავიცვათ დედამიწის ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება) მიზნებს და მისი გამოცდა-შესწავლა მიზანშეწონილია მაღალმოთანი რეგიონების მდგრადი განვითარებისათვის.

ნოვ ხუთი მარტი, მაგა მახალაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის პროფესორები

ბოსტნეული კულტურების კლასიფიკაცია და ბიოლოგიური თავისებურება

ბოსტნეული კულტურები გამო-
თიანებულია 10 ოჯახში:

ჯვაროსანი – კომბოსტო, ჭარხა-
ლი, თალგამურა, თალგამი, ბოლო-
კი, თვის ბოლოკი, პირშუშხა, წიწმა-
ტი.

ქოლგოსანი – სტაფილო, ოხრახუ-
ში, ძირთეთრა, ნიახური, ცერეცო.

გოგრისებრნი – გოგრა, კიტრი,
ნესვი, საზამთრო.

ძალლყურძენასებრნი – პომიდორი,
ნიწაკა, ბადრიჯანი, ფიზალისი.

პარკოსნები – ცერცვი, ბარდა, ლო-
ბიო.

შროშანისებრნი – ხახვი, ნიორი,
პრასა, ჭლაკვი, ღანძილი, სატაცური.

რთულყვავილოვანი – სალათა,
არდი, ძირშავა, არტიშოკი, ტარხუნა.

ნაცარქათამასებრნი – ჭარხალი,
ისპანახი.

მარცვლოვანი – ტკბილი სიმინდი.
სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედ-
ვით განარჩევენ ერთნოლოვან, ორ-
ნლოვან და მრავალნლოვან ბოსტ-
ნეულ კულტურებს. თითქმის ყველა
ბოსტნეული ძვირფასი საკონსერვო
ნედლეულია.

ბოსტნეული კულტურების უმეტე-
სობა ტროპიკული და სუბტროპიკუ-
ლი ნარმოშობისაა, ბევრი მათგანი

სითბოს მოყვარულია და ნაყოფიერ
ნიადაგს მოითხოვს.

საქართველოში ბოსტნეული კულ-
ტურები ძველთაგანვე ფართოდაა
გავრცელებული.

ბოსტნეულს მცენარეულ საკვებ
პროდუქტთა შორის განსაკუთრებუ-
ლი მნიშვნელობა აქვს. დადგენილია,

რატურა დღისით $+28^{\circ}\text{C}$, $+30^{\circ}\text{C}$ -მდე,
ხოლო ღამით $+14^{\circ}\text{C}$, $+18^{\circ}\text{C}$ -მდე. ამ
ჯგუფის მცენარეები სათანადო ტე-
ნის პირობებში $+40^{\circ}\text{C}$ სიცხეს უძლე-
ბენ, $+13^{\circ}\text{C}$ -ზე ქვევით მათი ზრდა-
განვითარება ჩერდება, ხოლო მცირე
ყინვის დროს (-1°C , -2°C) – იღუპები-
ან. ზომიერად სითბოს მოყვარული
ბოსტნეულია კარტოფილი, ჭარხალი,



რომ ადამიანის დღელამის რაციონის
სხვადასხვაგვარი ბოსტნეული უნ-
და შეადგენდეს.

ცნობილია 147 სახეობის ბოსტნეუ-
ლი კულტურა – მათგან 14 ფოთლო-
ვანი, 50 ძირხვენა და 74 ნაყოფიანი.
სითბოს მოყვარულია – საზამთრო,
ნესვი, კიტრი, ბადრიჯანი, პომიდო-
რი, ლობიო. ოპტიმალური ტემპე-

სტაფილო, ბოლოკი. ამ კულტურე-
ბისთვის საუკეთესო ტემპერატურა
დღისით $+16^{\circ}\text{C}$, $+24^{\circ}\text{C}$ -ია, ხოლო ღა-
მით $+8^{\circ}\text{C}$, $+12^{\circ}\text{C}$. ყინვაგამძლე (სიგ-
რილის მოყვარული) კულტურებია:
კომბოსტო, ბარდა, ცერცვი, ისპანა-
ხი, წიწმატი და სხვ. აღნიშნული მც-
ნარებისთვის საუკეთესო ტემპერა-
ტურაა დღისით $+12^{\circ}\text{C}$, $+20^{\circ}\text{C}$, ხოლო
ღამით $+6^{\circ}\text{C}$, $+12^{\circ}\text{C}$.

ბიოლოგიური მეთოდები

მცენარეთა მავნეულების წარადგენ ბრძოლის გუნებრივი საშუალებები

მავნეულებისა და დაავადებებისაგან კომპოსტოს დასაცავად შესაძლე-
ბალია ეპოლოგიურად სუფთა მეთოდების გამოყენება. მოსავლის აღების
შემდეგ ზოგჯერ მცენარეული ნარჩენი უცდა დაიცვას ან გამოყენებულ იქ-
ვის კომპოსტად. მავნეულების წინააღმდეგ შეიძლება ხახვის ფურცლის
ნაზღის გამოყენება.

კომბოსტოს თეთრულას წინააღმ-
დეგ ეფექტურია კარტოფილის ან პო-
მიდორის ღეროების ნაყენის, ხოლო

რწყილის წინააღმდეგ – ფარსმანდუ-
კის ნაყენის გამოყენება.

1 კგ. გამხმარ გვირილას ასხამენ





10 ლ. თბილ წყალს და აყოვნებენ 12 საათს. გადაწურვის შემდეგ ხსნარს 3-ჯერ აზავებენ. უკეთესად დასვეულების მიზნით უმატებენ 40 გ. საპონს.

სათლის მესამედში ყრიან ხახვის მშრალ ფურცლებს და ასხამენ ცხელ წყალს. აყოვნებენ 24 საათს, წურავენ და ორჯერ აზავებენ.

1 კგ. ფარსმანდუკის მშრალ ფოთლებს ასხამენ მცირე რაოდენობის ცხელ წყალს. 2 დღელამის შემდეგ უმატებენ 40 გ. საპონს და წყლის მოცულობას 20 ლიტრამდე ავსებენ. წურავენ და იყენებენ შესაფრექვევად.

500 გ. მწარე წინაკის პარკს წაყავენ, ასხამენ 10 ლ. წყალს და აყოვნებენ 2 დღე-ლამის განმავლობაში. შემდეგ ნაყენს წინაკასთან ერთად ადულებენ 30 წუთის განმავლობაში, აცივებენ, წურავენ, უმატებენ 40 გ. საპონს და იყენებენ ორჯერ გაზავების შემდეგ (აღნიშნული საშუალებები ბოსტნეული კულტურების მავნებლების წინააღმდეგ გამოიყენება).

ნახევარ სათლ დაქუცმაცებულ აყვავილებულ ან 700-800 გ. ხმელ მწარე აპზინდას ასხამენ 10 ლ. წყალს, აყოვნებენ 1 დღე-ლამეს, ადულებენ 30 წთ. ნაყენს წურავენ, აზავებენ წყლით (1:1) და უმატებენ 40 გ. საპონს (ეს საშუალება გამოიყენება ვაშლის ნაყოფქამიას წინააღმდეგ).

1/3 ვედრო ხის ნაცარს აყოვნებენ

10 ლ. წყალში 2 დღე-ლამეს, ნაყენს წურავენ.

100 გ. მშრალ მდოგვს ასხამენ 10 ლ. ქაფქაფა წყალს, აყოვნებენ 2 დღე-ლამეს, აზავებენ ცივი წყლით (1:1) და მცენარეებს ასხურებენ შებინდებისას ან ლრუბლიან ამინდში (ეს საშუალებები იხმარება ხერხიების, ალურებისა და სხვა მატლების წინააღმდეგ).

400 გ. თამბაქოს, წეკოს ან თამბაქოს მტკვერს ასხამენ 10 ლ. ცხელ წყალს, აყოვნებენ 2 დღელამეს, უმატებენ 40 გ. საპონს.

150-200 გ. ხახვის ფურცელს აყოვნებენ 10 ლ. წყალში 4-5 დღეს და წურავენ. 3-4 კგ. კულმუხოს ნედლ ან

1 კგ. ხმელ ბალახს ათავსებენ 10 ლ. წყალში 24-30 საათის განმავლობაში, ნაყენს წურავენ (ხმელი ბალახით შეიძლება ხების შეხროლება).

ბაბუანვერას 400 გ. ფოთლოს ან 200 გ. მცენარეს ფესვურებთან ერთად ასხამენ 10 ლ. თბილ წყალს და აყოვნებენ 2 საათს.

800 გ. გამხმარ ფარსმანდუკს აქუცმაცებენ, უმატებენ 10 ლ. მდუღარე წყალს, აყოვნებენ 1,5-2 დღე-ლამეს ან ადულებენ 30 წუთს. წურავენ, უმატებენ 40. საპონს.

ნახევარ ვედრო ანნლს აყოვნებენ 2 დღე-ლამეს 10 ლ. წყალში, აზავებენ წყლით (1:2) (ეს საშუალებები გამოიყენება ბუგრების, ფსილების, ლოფორთქინების, წვრილი მატლების წინააღმდეგ).

ჭინჭრის ნაყენი

ჭინჭრის ნაყენი საუკეთესო საშუალებაა პომიდვრის ფიტოფტოროზის წინააღმდეგ. შეაგროვეთ 1-2 კგ. ჭინჭრის ახალი ფოთლები, დასხით ერთი ვედრო წყალი და დაყოვნეთ დღე-ლამის განმავლობაში. მიღებული ხსნარი გამოიყენეთ პომიდვრის ფიტოფტოროზის თავიდან ასაცილებლად. შემჩნეულია, პომიდორი ჭინჭრის მახლობლად თუ იზრდება, მისი ნაყოფი ბევრად ხანგრძლივად ინახება.

ქარტოფილის ნაყენი

ქარტოფილის ნაყენი: ა) 1,5 კგ. კარტოფილის ხედლ ყლორტებს ფშვნიან და ასხამენ 10 ლ. წყალს. აყოვნებენ 4 სთ-ს, წურავენ, უმატებენ 40 გ. საპონს და ასხურებენ მცენარეებს. ბ) 2 კგ. კარტოფილის შეშრობილ (ან 800 გ. მშრალ) მკლავს უმატებენ 10 ლ. თბილ წყალს, 40 გ. სარეცხ საპონს და აყოვნებენ. მიღებულ ხსნარს მღილების წინააღმდეგ ასხურებენ ბალს, მოცხარს, უოლოს, მარწყვს. გ) კარტოფილის 1,2 კგ. მწვანე ან 600-800 გ. ხმელ ფორს ასხამენ 10 ლ. წყალს, აყოვნებენ 3-4 საათს და მცენარეს ასხურებენ შებინდების უამს. კარტოფილის ფორჩის დოზის გადიდება იწვევს მცენარეთა სიდამნვრეს (ეს საშუალებები გამოიყენება ბუგრების, ფსილებისა და ტკიპების საწინააღმდეგოდ).

პომიდვრის ნაყენი

პომიდვრის ნაყენი: ა) 1 კგ. პომიდვრის ყლორტებს ფოთლებთან ერთად ფშვნიან და ასხამენ წყალს. ადუღებენ 30 წუთს, წურავენ, სამჯერ აზავებენ და 40 გ. საპონს დამატების შემდეგ იყენებენ. ბ) 10 ლ. წყალს, რომელშიც ჩაყრილია 4 კგ. პომიდვრის ნაფურჩენი ან ფორჩი, 30 წუთს ნელ ცეცხლზე ადუღებენ და წურავენ. შესასურებლად 2-3 ლ. ნახარშს აზავებენ 10 ლ-მდე წყალში და უმატებენ 40 გ. საპონს (ეს საშუალება იხმარება ფოთლის მლრდნელი მატლების, ხერხიების, ხვატრების, ჩრჩილების, ნაყოფქამიების წინააღმდეგ). გ) 4-5 კგ. ახალი პომიდვრის მკლავი გააჩერეთ 10 ლ. წყალში 3-4 საათით. მდუღარე წყალს თუ დაასხამო, 30 წუთით მოა-

თავსეთ ნელ ცეცხლზე და გაფილტრეთ. ნახარში გააზავეთ წყლით 1:2-ზე; 10 ლ-ს დაუმატეთ 40 გ. სარეცხი საპონი და მიღებული ხსნარით დაამუშავეთ მცენარე მავნებელთა ნინა-ალმდეგ. პომიდვრის ერთი დღე-ლა-მით დატოვებული ნაყენით შეიძლება კომბოსტოს მორწყვა კომბოსტოს თეთრულას სანინაალმდეგოდ.

ნივრის ნაყენი

ნივრის ნაყენი: ა) 200-300 გ. ნივ-რის თავს ატარებენ ხორცსაკეპში, უმატებენ 10 ლ-მდე წყალს, ნურავენ და მაშინვე ასხურებენ მცენარეებს. ბ) ახალი ნივრის ფოთლებსა და საყ-ვავილე ღეროებს (200 გ.) აქუცმაცე-ბენ, ასხამენ წყალს (5 ლ.) აყოვნებენ დღე-ლამის განმავლობაში და მიღე-ბული ნაყენით ახდენენ მცენარეთა დამუშავებას მლილების ნინაალმდეგ. გ) 0,5 კგ ნივრის გასუფთავებულ და დაქუცმაცებულ კბილებს ასხამენ წყალს (10 ლ.), მჟიდროდ ხურავენ ჭურჭელს და აყოვნებენ ორი დღე-ლამის განმავლობაში. შემდეგ კარ-გად ანჯლრევენ, უმატებენ მსხვილ სახეზე გახეხილ კუპრის საპონს და ურევენ სრულ გახსნამდე. შესასუ-რებლად იღებენ ერთ ჭიქა ნაყენს 10 ლ. საპონიან წყალზე, რომელშიც ნი-ნასწარ ხსნიან 20 გ. იმავე საპონს. დ) 30 გ. დაქუცმაცებულ (ან ხორცსაკეპში გატარებულ) ნიორს აყოვნებენ 10 ლ. წყალში ერთი დღე-ლამე. ნივრით ამუშავებენ ყვავილის ბოლქვებსაც. ამ ნაყენის გამოყენება შეიძლება კიტრსა და კომბოსტოზე მლილების სანინაალმდეგოდ.

ნავთ-საპონის ემულსია

ნავთ-საპონის ემულსია: 10 ლ. წყალში ხსნიან 40 გ. სარეცხ საპონს. უმატებენ 10 წვეთ ნავთს და ამ ნა-ზავით ორჯერ ჩამორეცხავენ მცე-ნარეთა ტოტებსა და ღეროებს 8-10 დღის ინტერვალით (იხმარება კე-კროვანი მცენარეებისა და ოთახის ყვავილების დასაცავად ფარიანე-ბისგან).

დაავადებებთან საბრძოლველად შეიძლება სასუქების გამოყენება. მა-გალითად, ვაშლისა და მსხლის ქეცის სანინაალმდეგოდ ხეებს ყვავილო-ბის შემდეგ ასხურებენ შარდოვანას

(კარბამიდი) 0,5%-იან ხსნარს (50 გრ. 10 ლ. 0,5%-იანი კალიუმის მარილის წყალსნარში). ხილის მოკრეფის შემდეგ, სრულ ფოთოლცვენამდე, ვაშლისა და მსხლის ვარჯს ასხურე-ბენ 5%-იან შარდოვანას (500 გრ. 10 ლ. წყალში), ხოლო გაზაფხულზე ხის ტანის მიდამოებში ნიადაგს ასხუ-რებენ შარდოვანას 7%-იან ხსნარს ან კალიუმის ქლორიდის 10%-იან ხსნარს.

მავნებლებისაგან დასაცავად ვაშ-ლისა და ალუბლის ხეებზე დაკიდეთ ბურახით სავსე ქილები და ყველა მწერი ქილებში აღმოჩნდება. კოლო-რადოს ხოჭოსა და მახრის მოსასპო-ბად ნიადაგი შემოდგომაზე გადა-ხანით კავლის ჩამოცვენილ ფოთ-ლებთან ერთად (4 ტომარა კაკლის ფოთოლი 100 კვ.მ-ზე). ლოკოკინების ნინაალმდეგ საბრძოლველად კარგ შედეგს იძლევა ბალის გარშემო მა-რილის დაყრა. კოლორადოს ხოჭოს სანინაალმდეგოდ შეიძლება გულყვი-თელას (კალენდულა), კიტრის ფოთ-ლის, მინავაშლას, აბზინდას, ქრის-ტესისხლას და ხახვის ნარჩენების გამოყენებაც. მათ აყოვნებენ წყალში ორი-სამი დღის განმავლობაში.

ნაცრის თავიდან ასაცილებლად სრულებით არ არის აუცილებელი შესამქიმიკატების გამოყენება. გა-მოცდილი მებალე სხვაგვარად მოიქ-ცევა. ყლორტების ზომიერი გასხვ-ლა, მცირე რაოდენობით (20-30 გ/მგ) ფოსფორითა და კალიუმით გამოკვე-ბა და აზოტის უმნიშვნელო სიჭარბის დაუშვებლობა – აი, პროფილაქტიკის მეთოდების ძირითადი ასორტიმენ-

ტი. თუ ნაცარი მაინც გაჩნდა, მაშინ შეიძლება ძროხის ნაკელის გამოყე-ნება: 1 ნილ ნაკელს 3 დღე-ლამის გან-მავლობაში ათავსებენ 3 ნილ წყალში. შემდეგ ხსნარს აზავებენ წყლით (1:3) და ნურავენ. ასხურებენ საღამოს. ძროხის ნაკელში გამრავლებული ბაქტერიები აქტიურად უმკლავდე-ბიან ნაცარს. უნდა გაითვალისწი-ნოთ, რომ ჭურჭელი, რომელსაც ნა-კელის ხსნარის დასამზადებლად ან შესაფრქვევად იყენებთ, არ უნდა შეიცავდეს შხამქიმიკატების უმცი-რეს ნარჩენსაც კი, რომელთაც შეუძ-ლია ბაქტერიების – ნაცრის ანტაგო-ნისტების ზრდისა და განვითარების დათრგუნვა.

ჯანსაღი მცენარეების გაზრდას ხელს უწყობს ნიადაგში ხის ნახში-რის შეტანა. კარტოფილის, ყაბაყის, პატისონის ფოსოებში, მარწყვისა და კენეროვანი ბუჩქნარის დარგვი-სას, კიტრის, ჭარბლის, კომბოსტოს დათესვის ნინ მნკრივებში შეტანა 1 კვ.მ-ზე 20-200 გ. დოზით, ნაცარ-ში კალიუმის შემცველობის მიხედ-ვით. შავი მოცხარისა და ხურტკუ-ლის ყვავილობის შემდეგ, ნაყოფის ფორმირების პერიოდში, ნიადაგში შეაქვთ 200-300 გ. მშრალი ნაცარი და ნიადაგის ზედაპირზეც თანაბრად ანაწილებენ მას ბუჩქის ზონაში. ნაც-რის დაავადების ნინაალმდეგ ბუჩ-ქებს ასხურებენ ხის ნაცრის ნაყენს 2-3-ჯერ 8-10 დღის ინტერვალით. მშრალ ნაცარს აფრქვევენ ბოლოვის, თალგამის აღმონაცენებს, ჯვაროსა-ნი კულტურების ფოთოლრწყილების ნინაალმდეგ.



ქუცხელების ინფექციის ზედამხედველობა საქართველოში

ვასილი ბასილაძე,
სურსათის ეროვნული სააგენტო (NFA); თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: Vasili.basiladze@nfa.gov.ge

თენგიზ ჩალიგავა,
სურსათის ეროვნული სააგენტო (NFA); თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: Tengiz.chaligava@nfa.gov.ge

მარინა დონდუაშვილი PhD,
სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (SLA); თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: Marina.donduashvili@sla.gov.ge

ანოტაცია

ქუცხელების ინფექციას დიდი ისტორია აქვს რეგიონში, დათარიღებული პირველ მსოფლიო ომამდე. ქუცხელება არის ზოონოზური დაავადება, რომლის აღმდვრელია *Coxiella burnetii* - უჯრედშიდა, პლეომორფული, გრამუარყოფითი, ღეროს ფორმის ბაქტერია. ადამიანები ავადდებიან სასოფლო სამეურნეო ცხოველებთან (ძროხა, თხა და ცხვრი) კონტაქტის და მათი პროდუქტების მიღების გზით. დაავადებაზე ზედამხედველობის მიზნით, განხორციელდა პასიური ზედამხედველობა, რადროსაც ნიმუშების აღება ხდებოდა პირობითად დაავადებული ცხოველებიდან: ცხვარი, თხა, მსხვილფეხა პირუტყვი. ყველა სამიზნე ცხოველიდან ხდებოდა სისხლის, სისხლის შრატის ნიმუშების აღება, ხოლო მეწველი ცხოველებიდან ხდებოდა ასევე რძისა და ნაცხის ნიმუშების აღება. ნიმუშების ტრანსპორტირება ხორციელდება ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცვის პრინციპების გათვალისწინებით სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში. ფერმერების ინფორმირებულობის გაუმჯობესების, ცნობიერების ამაღლების და შედეგად შეტყობინებების გაზრდის მიზნით, ერთიანი ჯანდაცვის პრინციპის გათვალისწინებით შემუშავდა სპეციალური ბუკლეტი დაავადების შესახებ რომელიც ვრცელდებოდა მოსახლეობაში ნიმუშების აღების დროს.

ქუცხელებაზე ჩატარებული კვლევის ფარგლებში ლაბორატორიაში სულ **ELISA-ს** მეთოდით გამოკვლეული იქნა **2 578 (90,4 %)** სისხლის შრატის ნიმუში, საიდანაც დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა **387 (15%)** ნიმუში, საეჭვო აღმოჩნდა **69 (2,7%)** ნიმუში, **IFA-ს** მეთოდით გამოკვლეული იქნა **1 421 (49,8 %)** სისხლის ნიმუში, საიდანაც

დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა **205 (14,4 %)** ნიმუში, ხოლო საეჭვო აღმოჩნდა **33 (2,3%)** ნიმუში, **PCR** მეთოდით გამოკვლეული იქნა **421 (14,8 %)** რძე/ნაცხის საიდანაც დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა **7 (1,7 %)** ნიმუში. PCR მეთოდით ნიმუშები (რძე/ ნაცხი) გამოკვლეული იქნა კახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან დადებითების 86 % მოდის კახეთის რეგიონზე, ხოლო 14 % ქვემო ქართლის რეგიონზე. შედეგების ანალიზიდან გამომდინარე ირკვევა რომ პასიური ზედამხედველობის ფარგლებში, დაავადების გამოვლინების: 1) საშუალო პრევალენტობა შეადგენს 12.5%-ს, 2) მაქსიმალური პრევალენტობა 66,2 % (კახეთის რეგიონი), 3) მინიმალური პრევალენტობა 0 % (გურიის რეგიონი). სახეობების მიხედვით **ELISA** კვლევის მეთოდით მაღალი პრევალენტობა დაფიქსირდა წვრილფეხა პირუტყვში, (თხებში 19.6%, ცხვრებში 13.7%-ი), მსხვილფეხა პირუტყვში პრევალენტობა შეადგენს 4 %-ს. **IFA** კვლევის მეთოდით დაავადების გამოვლინება მაღალი პრევალენტობით დაფიქსირდა თხებში და შეადგინა 27,7 %. **PCR** კვლევის მეთოდით დაავადების გამოვლინება მაღალი პრევალენტობით დაფიქსირდა ასევე თხებში, რომელმაც შეადგინა 3,4 %, ცხვარში 0% და მრპ-ში 0,6%. იმისათვის რომ მოხდეს დაავადების ნამდვილი პრევალენტობის განსაზღვრა ქვეყნის მასშტაბით, მნიშვნელოვანი ჩატარდეს აქტიური ზედამხედველობის კამპანია, რა დროსაც წარმომადგენლობითი ნიმუშების აღება მოხდება შესაბამისი ეპიდემიოლოგიური კალკულაციის მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: ქუცხელება, პასიური ზედამხედველობა, აქტიური ზედამხედველობა, პრევალენტობა, ELISA, IFA, PCR.

ინფორმაცია კვლევის შესახებ:

ქუ-ცხელება არის ზოონოზური დაავადება, რომელიც ძირითადად გვხვდება ფერმის ცხოველებში და ცხოველებთან მომუშავე ადამიანებში. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევების უმეტესობა უსიმპტომოდ რჩება, სიმპტომურ პაციენტებს ყველაზე ხშირად უვითარდებათ ფეხრილური დაავადება. თუ სათანადო მკურნალობა არ მოხდა, ის შეიძლება გახდეს ქრონიკული ინფექცია, რომელიც გავლენას ახდენს მრავალ ორგანოზე, მათ შორის გულზე, ძვლებზე და ფილტვებზე. დაავადების წყაროა დაავადებული ცხოველები (ცხვარი, თხა, გარეული ცხოველები, შინაური ცხოველები (კატები და ძაღლები) და მათი გამონაყოფები.

დაავადების ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) დაფინანსებით განხორციელებული სამეცნიერო პროექტის “რიკეტსიისა და კოქსიელას ინფექციების ზედამხედველობა საქართველოსა და აზერბაიჯანში”, მიზანი იყო:

1. დაავადების შესახებ ცნობიერების ამაღლებას მოსახლეობაში;
2. დაავადებისარსებობის დაგავრცელების შესწავლას საქართველოსა და აზერბაიჯანში;
3. დაავადების ვექტორებისა და რეზერვუარების იდენტიფიცირებას;
4. რისკის რუკების შექმნას;
5. Rickettsia და C. burnetii-ის მოლეკულურ დახასიათებას და ფილოგენეტიკურ ანალიზის.

მასალები და მეთოდები:

ქუ-ცხელებაზე ზედამხედველობის მიზნით, განხორციელდა პასიური ზედამხედველობის კამპანია, რა დორსაც ნიმუშების აღება ხდებოდა სასოფლო სამეურნეო ცხოველებიდან (ცხვარი, თხა, მსხვილფეხა პირუტყვი).

ნიმუშების აღება ხდებოდა პირობითად დაავადებული ცხოველებიდან (ვინაიდან იყო ეჭვის საფუძველზე შემოსული შეტყობინება). ცხოველების დაფიქსირება ხდებოდა უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით. ყველა სამიზნე ცხოველიდან ხდებოდა სისხლის, სისხლის შრატის ნიმუშების აღება ასეპტიკის წესების დაცვით, რა



დროსაც გამოყენებული იყო ერთჯერადი ვაკუტაინერები. მეწველი ცხოველებიდან ხდებოდა რძისა და ნაცხის ნიმუშების აღება. ნიმუშები დანომრილი იყო შემდეგი პრინციპით: პირველი ორი ციფრი ველზე გასვლის კოდით და შემდეგი ორი ციფრი GPS უნიკალური ნომერი.

შედეგები:

ქუ-ცხელებაზე ჩატარებული კვლევის ფარგლებში ლაბორატორიაში სულ გამოკვლეულ იქნა 2 853 ცხოველიდან აღებული ნიმუში (მათ შორის 1290 (45.2%) თხის, 1107 (38.8%) ცხვრის და 456 (16%) მსხვილფეხა პირუტყვის ნიმუში).

- აღნიშნული ნიმუშებიდან **ELISA-ს** მეთოდით გამოკვლეული იქნა 2 578 (90,4 %) სისხლის-შრატის ნიმუში, საიდანაც დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 387 (15%) ნიმუში, ხოლო საეჭვო აღმოჩნდა 69 (2,7%) ნიმუში. (იხ. ცხრილი #1)
- აღნიშნული ნიმუშებიდან **IFA-ს** მეთოდით გამოკვლეული იქნა 1 421 (49,8 %) სისხლის ნიმუში, საიდანაც დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 205 (14,4 %) ნიმუში, ხოლო საეჭვო აღმოჩნდა 33 (2,3%) ნიმუში (მათ შორის 19 (2,6%) თხის, 9 (2 %) ცხვრის და 5 (2,3%) მრპ ნიმუში). (იხ. ცხრილი #1)
- აღნიშნული ნიმუშებიდან **PCR** მეთ-

ოდით გამოკვლეული იქნა 421 (14,8 %) რძე/წაცხის, საიდანაც დადებითად

მორეაგირე აღმოჩნდა 7 (1,7 %) ნიმუში.
(იხ. ცხრილი #1)

შეტანილი და გამოკვლეული ნიმუშების რაოდენობა																		
ტენიანის სახელი	შეტანილი ნიმუშები	% %	ELISA						IFA						PCR			
			tested	%	POS	%	SUS	%	tested	%	POS	%	SUS	%	tested	%	POS	%
თხა	1290	45.2	1153	89.4	226	19.6	21	1.8	741	57.4	205	27.7	19	2.6	177	13.7	6	3.4
ცხვარი	1107	38.8	1074	97.0	147	13.7	42	3.9	459	41.5	0	0.0	9	2.0	74	6.7	0	0.0
მრპ	456	16.0	351	77.0	14	4.0	6	1.7	221	48.5	0	0.0	5	2.3	170	37.3	1	0.6
სულ	2853	100	2578	90.4	387	15.0	69	2.7	1421	49.8	205	14.4	33	2.3	421	14.8	7	1.7

ცხრილი # 1: - შეტანილი და გამოკვლეული ნიმუშების რაოდენობა


დასკვნა:

შედეგების ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ რეგიონებში, სადაც მაღალია ცხოველთა პოპულაციების რაოდენობა, მაღალია დაავადების გავრცელებაც, ასევე მაღალია სხვა რეგიონებში დაავადების გადაცემის რისკი (იხ. დიაგრამა #1).

რეგიონების მიხედვით პასიური ზედამხედველობის ფარგლებში, დაავადების გამოვლინების:

- საშუალო პრევალენტობა შეადგენს 12.5%-ს.
- მაქსიმალური პრევალენტობა 66,2 % (კახეთის რეგიონი),
- მინიმალური პრევალენტობა 0 % (გურიის რეგიონი).

დადებითი და საეჭვო შემთხვევები რეგიონების მიხედვით



დიაგრამა #1: - დადებითი და საეჭვო შემთხვევები რეგიონების მიხედვით


სახეობების მიხედვით **ELISA** კვლევის მეთოდით პირუტყვები, რომელიც თხების შემთხვევაში არის 19.6%, ხოლო ცხვრების შემთხვევაში 13,7%-ი. რაც

შეეხება მსხვილფეხა პირუტყვს პრევალენტობა შეადგენს 4 %-ს. (იხ. დიაგრამა #2).

სახეობების მიხედვით IFA კვლევის მეთოდით დაავადების გამოვლინება მაღალი პრევალენტობთ დაფიქსირდა თხებში და შეადგინა 27,7 %.

სახეობების მიხედვით PCR კვლევის მეთოდით დაავადების გამოვლინება მაღალი პრევალენტობთ დაფიქსირდა ასევე თხებში, რომელმაც შეადგინა 3,4 %, ცხვარში 0% და მრპში 0,6%.

ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაავადება ქვეყანაში ცირკულირებს ძირითადად კახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში და სახეობების მიხედვით ძირითადად თხებში.



დიაგრამა #2: - დაავადების პრევალენტობა სახეობების მიხედვით

Surveillance of Q fever infection in Georgia

Vasili Basiladze,

LEPL National Food Agency (NFA); Tbilisi, Georgia

Tengiz Chaligava,

LEPL National Food Agency (NFA); Tbilisi, Georgia

Marina Donduashvili, PhD²

LEPL State Laboratory of Agriculture (SLA); Tbilisi, Georgia

Abstract:

Q-fever infection has a long history in the region, dating back to the First World War. **Q-Fever** is caused by *Coxiella burnetii*, an intracellular, pleomorphic, gram-negative, rod-shaped bacterium. Humans become infected through contact with farm animals (cows, goats, and sheep) and ingestion of their products. In order to monitor Q-fever in Georgia, passive surveillance was conducted; Blood and blood serum samples were taken from suspected animals; milk and swab samples were also taken from lactating animals. Samples were transported to State Laboratory of Agriculture in accordance with biosafety and biosecurity principles. To raise farmers' awareness, informative booklet was prepared and distributed among the population during sampling.

In the framework of the study 2,578 (90.4%) blood and serum samples were tested by the **ELISA** method, 387 (15%) of them were **positive** and 69 (2.7%) were **suspicious**. From 1 421 (49.8%) blood samples, tested by **IFA**, 205 (14.4%) appeared to be **positive** and 33 (2.3%) - **suspicious**.

421 (14.8%) milk/swab samples from Kakheti and Kvemo Kartli regions were examined by **PCR**, 7 (1.7%) samples were **positive**. 86% of positives were from Kakheti and 14% from Kvemo Kartli.

Data analysis led to the following conclusions: 1) average prevalence of the disease is 12.5%, 2) maximum prevalence is 66.2% (Kakheti), 3) minimum prevalence is 0% (Guria). Per species, by **ELISA** method, a high prevalence was observed in small ruminants (19.6% in goats, 13.7% in sheep). The prevalence in cattle is 4%. As per **IFA** method, high prevalence was observed in goats - 27.7%. By **PCR** high prevalence was also observed in goats (3.4%), 0% in sheep, and 0.6% in LR. To determine the true prevalence of the disease in the whole country, an active surveillance campaign is essential.

ვარდისებრთა გარანტი - მოვლა, მოყვანის ტეროლოგია



ამ მიზნით ჩვენს სკოლაში შეიქმნა კლუბი „გრინარეა“ და ანასეულის კვლევით ინსტიტუტთან კავშირში, მეცნიერების დახმარებით დაგინერირდა შესწავლა უიშვიათესი ჯიშის სამკურნალო მნიშვნელობის, ვარდისებრთა გერანის ეთერზეთოვანი მცენარის შესწავლა, გამოვიყვანეთ ნერგები, შევისწავლოთ მათი გამრავლების წესები.

გერანი მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული ეთერზეთოვანი მცენარეა, რაც განპირობებულია ვარდის სასიამოვნო სურნელების ეთერზე-თების შემცველობით. სახელმწიფება – ვარდის სებრთა გერანი – ამ მცენარემ მიიღო ეთერზეთის ვარდისებრთა სურნელების გამო. ეთერზეთის შემცველობა 0,10%-დან 0,17 %-მდე აღწევს. გერანის ეთერზეთებს იყენებენ საპარფუმიერო კოსმეტიკურ ნარმოებაში: სუნამოების, ოდეკოლონების, კრემების, საპნისა და სხვა სურნელოვანი სამომხმარებლო ნანარმის ანარჩენები ორგანული სასუქების მიღების საუკეთესო მასალას შესდგენს. მას იყენებენ აგრეთვე გემო კვების მრეწველობაშიც: ლიქიორის, უალკოჰოლო სასმელების, ნამცხვრების და სხვა კვების პროდუქტებისათვის საამო სურნელების მისაცემად.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ გერანის ეთერზეთი ბაქტერიო-

სსიპ ზაზა დამენიას სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრ მოურგეთის საჯარო სკოლის მიერ განხორციელებულ აროვატში, რომელის მიზანი იყო, უმარქნო მცხოვრებაზრდობის მაჩალითზე, სამართლებრივი უნარ — ჩვევების განვითარება, დაინტერესება სასოფლო — სამუშაო კულტურულებით რათა მოსწავლეებს შევაყვაროთ მცხოვრისა და მიწის სიცავალული.

ციდული საშუალებაა. იგი მაღალე-
ფერტური აღმოჩნდა ინფექციური
დავალებების წინააღმდეგ საპროტ-
ელად. კულტურაში სანგრძლივი
ყვავილობისა და მარადმწვანე ლამა-
ზი გვირგვინის გამო, როგორც დე-
კორაციული მცენარე ინგლისელებსა
და ჰოლანდიელებსა აფრიკიდან შემო-
უტანიათ ევროპაში 1690 წელს.

საქართველოში გერანის გავრცელების ისტორია 1925 წელს იწყება, როგორც დეკორატიული მცენარე. ოთახის პირობებში შემთხვევით ნაპოვნი ერთი ბაზარდან.

მეცნიერთა კვლევებით დადგინდა,
რომ გერანის კულტურის მოყვანა შე-
საძლებელია, როგორც დასავლეთ,
ისე აღმისავლეთ საქართველოს რა-
იონებში.

უკანასკნელ წლებში ვარდისფერთა გერანის ეთერზეთების შემცველობა-ში აღმოჩნდა მენთოლის ჭარბი შემცველობა და მათ მეთონური ფორმები უწოდეს. ეს ფორმები არ გამოიყენება საპარფიუმერო მრეწველობაში რადგან იგი 50 % მეთონს (*ketens*) შეიცვლა.

გერანის მენთოლური ფორმების წარმოქმნის მიზეზი გამოწვეულია ა) კვების პირობების დარღვევით, ბ) არ-სებული დაკოლოგიური პირობებით.

გადაეწყვიტეთ ოთახის პირობრ-
ბში გავამრავლოთ ეთერზეთოვა-
ნი ვარდისებრთა გერანი, რომელიც
პერსპექტივას გვაძლევს გერანის
მაღალეთერზეთიანი ფორმების გამ-
რავლებისა, რომელშიც მენთონური
ელემენტები იკარგება და სამკურნა-
ლო მნიშვნელობას იძენს.

გერანის სამშობლო და პიოლოგიური თავისებურებანი

ვარდისებრთა გერანის სამშობლოა აფრიკის სუბტროპიკული ნა-

ნილი კაპსუის პროვინციაა. თავის სამშობლოში გერანი მრავალწლიანი მცენარეა . ის ტიპიური სუბტროპიკული მცენარეა, მცენარე ვეგეტაციას იწყებს, როცა ნიადაგის ტემპერატურა 10° -სა და 5° -ს მიმდევად მდგრადი განვითარება. -40, - 5°C ნიადაგზე-და ნაწილური ეყინება.

გერანის მოკლე პოტანიცური აღწერა

გერანი მრავალწლიანი ბუჩქ-ბალახა მცენარეა, მცენარის მწვანე ნაწილი დაფარულია მარტივი ბუსუსებით. ეს ბუსუსები ეთეროვანი ზეთის საცავია. ფოთლები უხვადაა შემოსული და იგი ეთერზეთების მიღების ნედლეულია. ფოთლები მორიგეობითაა განწყობილი, ყვავილი ვარდისებრია, ახალგაზრდა ფოთლები უხვზეთოვანია ვიდრე ზრდასრული. ეთერზეთის გამოსავალი ფოთლიდან დამოკიდებულია გარემო ტემპერატურაზე. ფოთლები ლეროზე მორიგეობითაა განწყობილი, ფოთოლი ლია მწვანეა მარტივი. ყვავილები შეკრებილია ქოლგად, გვირგვინი ვარდისფერია, მცენარის თესლი სტერილურია ეს მცენარე თესლს არ ინვითარებს. ის მიეკუთვნება გერანისებრთა ოჯახს (*Geraniaceae*)-ს ყარყატისებრთა გვარს (*Pelagonium*)-ს.

გერანის ლიტერატურის გამოყვანა

გერანს ვამრავლებთ კალმების და-
ფესვიანებით. საკალმე მასალის აღე-
ბის ძროს ყურადღებას ვაქცევთ ვარ-
დის დამახასიათებელი სურნელების
ძრონე მარნარეს.

გერანის საკალმე მასალის აჭრის
საუკეთესო პერიოდია 10 სექტემ-



„ინკასტირება უვნებელ და ხარსების მასაწოდებელი“ (SQL)

№5(20), მაისი, 2023 თებერვალი

რეკომენდაციები უვნებელი ხორცის მასაძელებელი

სრულფასოვანი კვება ადამიანის ჯანმრთელობის განმ-
საზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი გრადიენტია და ბალან-
სირებული დღიური რაციონით მიიღწევა. ბალანსირებუ-
ლი კვება კი თავის მხრივ გულისხმობს ძირითად საკვებ-
და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა – ცილების,
ცხიმების, ნახშირნყლების, ვიტამინებისა და მინერალე-
ბის სწორ და დასაბუთებულ შეფარდებათა განსაზღვრას
ასაკის, სქესის, შრომითი საქმიანობისა და ცხოვრების
რეჟიმის შესაბამისად.

რადგან ხორცი უხვად შეიცავს სრულფასოვან ცილებს,
ცხიმებს და ზოგიერთ ვიტამინს, მისი კვებითი და ბიოლო-
გიური ღირებულება საკვამოდ მნიშვნელოვანია ბალან-
სირებული კვებისათვის. ხორცში ცილის შემადგენლობა
შედარებით სტაბილურია, ვიდრე ცხიმის, შესაბამისად,
ხორცის კატეგორიებად დაყოფის ერთ-ერთი ძირითადი
კრიტერიუმი სწორედ ცხიმიანობაა.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლო-
ბის მიხედვით ხორცი მოიცავს შინაური მსხვილფეხა და
ნერილფეხა პირუტყვისაგან, ღორის და კენტჩილიქიანე-
ბის, ასევე, გარეული ცხოველებისაგან (რომლებიც მო-
შენებულია ფერმაში, როგორც შინაური (ცხოველი) მიღე-
ბულ ადამიანის საკვებად განკუთვნილ ცხოველის ნაწი-
ლებს.

ხორცის შეძენისას მთავარ რეკომენდაციად შესაძლოა
ჩაითვალოს მოწოდება, რომ ხორცი აუცილებლად რეგის-
ტრირებული ბიზნესოპერატორისგან უნდა იქნეს შეძენი-
ლი, როგორიცაა აგრარული ბაზრები, სპეციალიზირებუ-
ლი ხორცის მაღაზიები, სუპერმარკეტები ან უშუალოდ
სასაკლაობები, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის
შესაბამისად, ბიზნესოპერატორი არის პირი, რომლის
საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვე-
ბის, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული
პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, ჰესტიცი-
დის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას,
გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე, ვეტერინარი-
ოსა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას და
რომელიც პასუხისმგებელია თავისი საქმიანობა შეუსა-
ბამოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ
მოთხოვნებს და ასევე, ვალდებულია მისი საქმიანობის

სახე დაარეგისტრიროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-
ნული სააგენტოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრმი,
რაც თავის მხრივ აღნიშნულ პირს სახელმწიფო კონტრო-
ლის ქვეშ აქცევს.

ინფორმაცია ბიზნესის რეგისტრაციის შესახებ შესაძ-
ლოა მივიღოთ ბიზნესოპერატორის რეგისტრაციის და-
მადასტურებელი ამონაზერი (ამონაზერი ეკონომიკურ
საქმიანობათა რეესტრიდან), რომელიც ობიექტში თვალ-
საჩინო ადგილზე უნდა იყოს განთავსებული და მითითე-
ბული იყოს საქმიანობის სახე – „გაჭრობა ხორცით და
ხორცის პროდუქტებით“.

თუ გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ
როგორ შეიძინოს უვნებელი ხორცი, ეწვიეთ ვებგვერდს
www.agronavti.ge – საიდანაც, შესაძლებლობა გექნებათ
გადმოწეროთ SQL პროექტის ფარგლებში შექმნილი სა-
ხელმძღვანელო.

ვებგვერდზე გადასასვლელად, დაასკანერეთ QR კოდი:



სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტის „ინვეს-
ტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQL)
ფარგლებში, რომელსაც ამერიკული ორგანიზაცია Land
O'Lakes Venture37 ახორციელებს, საქართველოს ფერ-
მერთა ასოციაციასთან (GFA) პარტნიორობით, ამერიკის
შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტა-
მენტის (USDA) დაფინანსებით.




მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს მეცხოველეობის ინდუსტრიაში არსებული პროდუქტების საბაზრო ფასების დინამიკას 2023 წლის **აპრილის** თვის განმავლობაში, თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრების მასშტაბით. ეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება პროექტის ფარგლებში შერჩეულ ქსელური მარკეტების ფილიალებსა და ადგილობრივ, არაქსელურ მარკეტებში ხორციელდება, ხოლო არაეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება - აგრძელ ბაზრებში. პუბლიკაციაში ასახული ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში.

საშუალო ფასების გამოაწერიშებისას გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.

აპრილის თვე / 2023

აპრილის თვეში ეტიკეტირებული იმერული და ქარხნული ყველის ფასმა **მცირედით დაიკლო.** კერძოდ, იმერული ყველი 2.3%-ით, ხოლო ქარხნული - 0.8%-ით **გაიაფდა.** ეტიკეტირებული სულგუნის შემთხვევაში კი **მცირე ზრდა** დაფიქსირდა (+4%).

ეთიკეტირებული ყველის ფასები სულგუნისათვეში



აპრილის თვე / 2023

არაეტიკეტირებული ყველის ფასები საბრაზელ ბაზარში



აგრარულ ბაზრებზე სამივე სახეობის ყველი შესამ-ჩნევად გაიაფდა. აპრილში არაეტიკეტირებული ქარხნული ყველის ფასი 8.3%-ით, სულგუნის - 14%-ით, იმერულის კი - **14.4%-ით შემცირდა.** სავარაუდოა, რომ ეს კლება ნედლი რძის მიწოდების ზრდამ განაპირობა. მაღალი ხელმისაწვდომობა ნედლ რძეზე **ამცირებს ნარმოებული პროდუქტის ფასებს.**

აპრილის თვე / 2023

აპრილის თვეში მანვნის მინიმალური (-2%), საშუალო (-1%) და მაქსიმალური (-1%) ფასი **მცირედით შემცირდა.**

ეთიკეტირებული მანვნის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ფასი



პარილის თვე / 2023

აპრილის თვეში ეტიკეტირებულ საქონლის ხორცზე ფასები **შემცირდა**, ხოლო არაეტიკეტირებულზე გაიზარდა. ხბოს ძვლიანი ხორცის ფასები **გაიზარდა** როგორც აგრარულ ბაზრებზე, ისე ქსელურ მაღაზიებში.

ეთიკეტირებული


საქონლის პრიზა	-8.1 % ↘	19.25 ₷
საქონლის ძვლიანი	-0.6 % ↗	22.29 ₷
საქონლის რბილი	-19.7 % ↘	23.58 ₷
ხბოს ძვლიანი	3.0 % ↗	20.6 ₷
ხბოს რბილი	0.0 % ≈	27.0 ₷

არაეთიკეტირებული

საქონლის პრიზა	4.2 % ↗	14.24 ₷
საქონლის ძვლიანი	7.2 % ↗	19.82 ₷
საქონლის რბილი	11.2 % ↗	23.09 ₷
ხბოს ძვლიანი	7.3 % ↗	22.00 ₷
ხბოს რბილი	0.5 % ≈	24.60 ₷




პარილის თვე / 2023

აპრილში ნედლი რძის ფასები რეგიონების უმრავლესობაში **შემცირდა**, ხოლო უცვლელი დარჩა აჭარის, გურიის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, რის შედეგადაც საშუალო ფასმა 1.73 ლარი შეადგინა. რძის ფასების შემცირება შესაძლოა სეზონურობის ფაქტორით იყოს განპირობებული. კერძოდ, რძის წარმოება იზრდება გაზაფხულზე, რადგან ძროხებს უკეთესი წვდომა აქვთ ახალ ბალახსა და საძოვრებზე.




პარილის თვე / 2023

აპრილში საქონლის საკვების ფასები უმრავლესობა პროდუქტზე მკვეთრად **შემცირდა**. ამ თვეში ყველაზე მეტად იონჭა, თივა, ხორბალი და მზესუმზირის შროტი **გაიაფდა**. ფასების ვარდნა შესაძლოა რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული. სეზონურმა ცვალებადობამ შეიძლება ხელი შეუწყოს საკვების მიზნოდების **გაზრდასა და ფასების შემცირებას**, ასევე გასათვალისწინებელია გლობალური ბაზრის პირობები, რომელმაც შეიძლება გავლენა იქნიოს ადგილობრივ დონეზე საკვების ფასებზე.




რეკომენდაციები უვეგელი ხორცის შესაძლებლობის შესახებ



სრულფასოვანი კვება ადამიანის ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი გრადიენტია და ბალანსირებული დღიური რაციონით მიიღწევა. ბალანსირებული კვება კი თავის მხრივ გულისხმობს ძირითად საკვებ და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა – ცილების, ცხიმების, ნახშირნყლების, ვიტამინებისა და მინერალების სწორ და დასაბუთებულ შეფარდებათა განსაზღვრას ასაკის, სქესის, შრომითი საქმიანობისა და ცხოვრების რეჟიმის შესაბამისად.

რადგან ხორცი უხვად შეიცავს სრულფასოვან ცილებს, ცხიმებს და ზოგიერთ ვიტამინს, მისი კვებითი და ბიოლოგიური ღირებულება საკმაოდ მნიშვნელოვანია ბალანსირებული კვებისათვის. ხორცში ცილის შემადგენლობა შედარებით სტაბილურია, ვიდრე ცხიმის, შესაბამისად, ხორცის კატეგორიებად დაყოფის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი სწორედ ცხიმიანობაა.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ხორცი მოიცავს შინაური მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვისაგან, ღორის და კენტჩილიქიანების, ასევე, გარეული ცხოველებისაგან (რომლებიც მოშენებულია ფერმაში, როგორც შინაური ცხოველი) მიღებულ ადამიანის საკვებად განკუთვნილ ცხოველის ნაწილებს.



ხორცის შეძენისას მთავარ რეკომენდაციად შესაძლოა ჩაითვალოს მონიდება, რომ ხორცი აუცილებლად რეგისტრირებული ბიზნესოპერატორისგან უნდა იქნეს შეძენილი, როგორიცაა აგრარული ბაზრები, სპეციალიზირებული ხორცის მაღაზიები, სუპერმარკეტები ან უშუალოდ სასაკლაობები, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბიზნესოპერატორი არის პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე, ვეტერინარიისა და ცენტრების მომსახურებას და რომელიც პასუხისმგებელია თავისი საქმიანობა შეუსაბამოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ასევე, ვალდებულია მისი საქმიანობის სახე დაარეგისტრიროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, რაც თავის მხრივ აღნიშნულ პირს სახელმწიფო კონფრონტის ევეშ აქცევს.

ინფორმაცია ობიექტის რეგისტრაციის შესახებ შესაძლოა მივიღოთ ბიზნესოპერატორის რეგისტრაციის დამადასტურებელი ამონანერით (ამონანერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან), რომელიც ობიექტში თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს განთავსებული და მითითებული იყოს საქმიანობის სახე – „ვაჭრობა ხორცით და ხორცის პროდუქტებით“.

თუ გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძინოს უვნებელი ხორცი, ეწვიეთ ვებგვერდს www.agronavti.ge – საიდანაც, შესაძლებლობა გექნებათ გადმოწეროთ SQL პროექტის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელო.

ვებგვერდზე გადასასვლელად, დაასკანერეთ QR კოდი:



სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQL) ფარგლებში, რომელსაც ამერიკული ორგანიზაცია Land O'Lakes Venture37 ახორციელებს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციისთან (GFA) პარტნიორობით, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დაფინანსებით.

გაფრძლება. დასაწყისი მე-16 გვ.

ბრიდან ოქტომბრის ბოლომდე. ამ დროს მცენარე სიმწიფის პერიოდშია. საკალმედ ვჭრით 15-18 სმ სიგრძის ყლორტს, 57 მოკლე მუხლთაშორისებით აჭრილ კალამს ფოთლები ისე უნდა მოვაცილოთ, რომ კვირტები არ დაზიანდეს. დამზადებული კალამი 12-14 სმ სიგრძის უნდა იყოს და 34 -მდე მუხლთაშორისით ზემოთ ზრდადაუმთავრებელ 2 ფოთოლს უტოვებთ. კალამი ირჩად უნდა გადაიჭრას.

კალმების დასამუშავებლად გამოვიყენეთ შაქრიანი წყალი და ასევე კალიუმის სპერმანგანატი მინის ქილაში.



საშურადლებო

ყურადღება უნდა მივაქციოთ ტენის ნორმალური პირობების შექმნას და მზის სხივების პირდაპირი მოქმედებისგან კალმების დაცვას.

ნიადაგის მოზადება

ვიღებთ კორდის მიწას, გადამწვარ ნაკელს, სილას, 4:2:2 და კარგად ავურიოთ ერთმანეთში.

ან უბრალოდ ნაყოფიერ ნიადაგში და ნაკელი 3:1. ამ ნაზავით ვავსებთ ქოთნებს, ვრწყავთ, კალმის დარგვა საუკეთესოა დილით ან სალამოს. კალამი 3-4 სმ სილრმეზე უნდა ჩაუშვათ ნიადაგში. კალამი დარგვისთანავე უნდა მოვრწყოთ, რადგან სრული კონტაქტი დამყარდეს ნიადაგსა და კალამს შორის. ტემპერატურის ხელსაყრელ პირობებში დარგული კალამი 30-35 დღეში წარმოქმნის ფესვებს. სათბურში ტემპერატურა 20^o-25^oC-ის ფარგლებში უნდა იყოს, ტენიანობა 80-85 %, ცივი წყლით მორწყვა დაუშვებელია, ნაზავის ტემპერატურა რომ არ დაცეს - დაგროვილი შედარებით თბილი წყლით უნდა მოირწყას. გერანის დაფესვიანება ნოებრის მეორე ნახევარში ხდება.

თუმცა ჩვენი დაკვირვებისა და მუშაობის საფუძველზე ავირჩიეთ ყველაზე მარტივი მეთოდი, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ

გერანის სადედე მცენარის, ვარდის დამახასიათებელი სურნელის მქონე კალმის აჭრას რათა მივიღოთ მაღალი ღირსების ნედლებული. ავირჩიეთ ყველაზე მარტივი მეთოდი. ოთახის პირობებისთვის საუკეთესოა გაზაფხულზე აჭრილი კალამი წყლიან მინის ქილაში ჩააწყოთ რომელიც ძალიან მაღალ ფესვიანდება, დაფესვიანებულ კალამს ვრგავთ ქოთნებში. ნათელი, მზის პირდაპირი სხივებისაგან დაცულ ოთახში. ის სწრაფად იზრდება ოთახის პირობებში, დარგვიდან 30 დღის შემდეგ მცენარე იწყებს აქტიურ ვეგეტაციას, ოთხი დღის შემდეგ ქოთნებში ხდება ნიადაგის გაფესვიერება, ნიადაგი ყოველთვის ფხვიერ მდგომარეობაში. მოსავლის გადიდების ერთ-ერთი საშუალებაა სასუქი, ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ ორგანულ სასუქს რომელშიც კვების ელემენტების დიდი რაოდენობაა, თუ მინერალურ სასუქს დავამატებთ მისი შეტანა ეფექტურია მაისის მეორე ნახევარში. ბრძოლის ღონისძიებას წარმოადგენს, ბორდოს 1% სსნარის შესხურება. პირველად უნდა შევასხუროთ ივნისის პირველ დეკადში. შესაძლებელია ნიადაგის დეზინფექცია შაბიამნის 2%-იანი ხსნარით.

დასკვნა

1. გერანი როგორც მრავალნლოვანი ეთერზეთოვანი, სურნელოვა-

ნი, ანტისეპტიკური, დეკორატიული მცენარე ამდიდრებს ოთახს უანგადით, ამიტომ ჩვენი რჩევაა, ყოველ ოჯახში გაამრავლონ ეს საუკეთესო მცენარე.

2. სკოლიდანვე მოსწავლემ შეიყვაროს მცენარისა და მინის სიყვარული, ეს უფროსებიდან უნდა ჩაენერგოს, ამისათვის ჩვენმა სკოლლამ გადაწყვიტა, ანასულის კვლევით ინსტიტუტთან კავშირი, მეცნიერების დახმარებით შეგვესწავლა იშვიათი ჯიშის უმერქნო რომელსაც სამკურნალო მნიშვნელობა აქვს.

3. სასკოლო კლუბის „გრინარეას“ წევრებმა შეისწავლეს მცენარის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია ოთახის პირობებში, თავისი ახალი რეკომენდაციები შეიტანეს მცენარის გამრავლების თავისებურებაში, დაკვირვების საფუძველზე.

4. მოსწავლეებს განუვითარდათ მენარმების უნარ-ჩვევები, მეცნიერული კვლევის, ურთიერთობის უნარ-ჩვევები. სკოლაში მოგაწყობთ გამოფენა-გაყიდვას და მივცემთ რეკომენდაციებს მოვლა-მოყვანის შესახებ.

მათებან ჩიდაშუა

ბიოლოგის მეცნიერებათა აკადემიური დოკტორი,

ნონ დლონი,

სკოლის დირექტორი, კლუბის „გრინარეას“ წევრები

ლობირს ბუჩქების საჭრელი და ღვარეულად ჩამოყოფილობის მოწყობილობა

საქართველოში სასოფლო-სამურნეო კულტურებს შორის მიღვწეო-
ვანი ადგილი უკავია პარკოსან კულტურებს, მათ შორის ზართოდ არის
გავრცელებული ლობირსა და სოიას ცარმოება, რომელთა გამოყენება
ხდება როგორც კვებითი პროდუქტების სახით, ასევე სამრეცველო და-
ნიშნულებითაც. მაგალითად სოიასაგან ამზადებან: საპრეს, გლიცერინს,
საღებავებს და სხვ.

საქართველოში ლობირს და სოიას ნათესებისათვის შეიძლება გამოყო-
ფილ იქნეს 40 ათასი ჰა ფართობი, სა-
დაც მიზანშეწონილია მექანიზაციის
ტექნიკური საშუალებების გამოყენე-
ბა. ამ მიმართულებით ლობირს წარ-
მოების სფეროში მექანიზაციის დო-
ნე, შეიძლება ითქვას, ძალიან დაბა-
ლია. განსაკუთრებით საქართველოს
მთაგორიან რეგიონებში.

ლობირს მოსავლის აღება ხდება ორი მეთოდით:პირდაპირ კომბაინე-
ბით და გაყიდვილი მეთოდით -ეტა-
პობრივად.

პირველი მეთოდით აღების შემთხ-
ვევაში გამოიყენება საზღვარგარეთ
შექმნილი მანქანები და კომბაინები. ამ შემთხვევაში ხდება მომწიფებული
ლობირს მცენარეების ჭრა ძირში და
მისი მიწოდება სალენ და დამახარის-
ხებელ მოწყობილობებზე. ამ მეთო-
დით ლობირს აღების დროს საჭიროა
ზუსტად განისაზღვროს მცენარის
მომწიფების და ლობირს პარკების
ტენიანის მაჩვენებელების სამუშაოში.
სხვა შემთხვევაში ადგილი ექნება ლობირს
მარცვლების ჩაცვენას და გაიზრდება
დანაკარგები.

მეორე მეთოდით აღების შემთხვე-
ვაში, პირველ ეტაპზე ხდება ლობირს
ბუჩქების ჭრა და მისი ჩალაგება ღვა-

რეულად რიგებში. გარკვეული პერი-
ოდის გასვლის შემდეგ, როცა მოხ-
დება ადგილზე მათი გაშრობა ნორ-
მალურ ტენიანისამდე, სპეციალური
მოწყობილობებით ხდება მათი აღება
და გამოლენვა ადგილზე, ან სპეცია-
ლურ ფარდულებში, სადაც დააგრე-
გატებულია სალენი და დამხარისხე-
ბელი დანადგარები.

აგროსაინუინრო კვლევის სამსა-
ხურის თანამშრომლების მიერ და-
მუშავებული ესკიზური ნახაზების
საფუძველზე მექანიკოს ნოდარ კე-
კენაძის სახელოსნოში დამზადებულ
იქნა ლობირს ბუჩქების საჭირო ირ-
რიგიანი მოწყობილობა. რომელიც
გამოცდილ იქნა ლაგოდების რაი-
ონში სოფ შრომაში. მოწყობილობა
დააგრეგატებული იქნა ჩინური წარ-
მოების მცირე გაბარიტიან ტრაქ-
ტორზე „სინტაი-180“ (სიმძლავრე 13
კვტ). ლობირს ნათესი ფართობები
ნაწილობრივ იყო დასარევლიანებუ-
ლი, ნიადაგი ფხვიერი და ზომიერად
მშრალი; აღნიშნულ პირობებში აგ-
რეგატმა იმუშავა დამაკმაყოფილებ-
ლად; ლობირს ბუჩქების ფესვები იჭ-
რებოდა ნიადაგის ზედაპირიდან 3-5
სმ-ის სიღრმეზე; არ ხდებოდა ბუჩქე-
ბის ბერტყვა და მარცვლების ჩაცვენა
(იხ.სურ.1).



სურ. 1. მოწყობილობა მუშაობის პროცესში



სურ. 2. ლობირს ბუჩქების საჭრელი მოწყობილობა (გვერდები)

გამოცდის შედეგად გამოვლინდა
შემდეგი ნაკლოვანებები:

- დასარეველიანებულ რიგებში
ხდებოდა მოჭრილი სარეველების
დაგროვება ბრტყლად მჭრელი თა-
თების დგარებზე;

- ბრტყლად მჭრელი თათების გა-
დაფარვის მანძილი იყო შედარებით
მცირე, რის შედეგადაც ზოგჯერ ად-
გილი ჰქონდა ლობირს ბუჩქების ცენტ-
რალური ფესვის თაოს მჭრელ პირ-
ზე გვერდით გასრიალებას და არას-
რულ ჭრას.

გამოვლენილი ნაკლოვანებების
აღმოფხვრის მიზნით მიღებულ იქნა
გადაწყვეტილება ფესვების მჭრელი
ორგანოს კონსტრუქციული სრულ-
ყოფის შესახებ; კონკრეტულად,
დადგენილ იქნა ბრტყლად მჭრელი
თათების გადაფარვის მანძილის გა-
დიდება და ერთმანეთთან შეზრდილი
ბუჩქების და სარეველების ტოტების
განმცალეავებელი ვერტიკალური
მჭრელი დანების დაყენება.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებე-
ბის გათვალისწინებით, აგროსაინუინ-
რო კვლევის სამსახურის თანამშრომ-
ლების მიერ დამუშავებულ იქნა გან-
სხვავებული კონსტრუქციის მქონე
მოწყობილობების სამუშაო ორგანო-
ების ესკიზური ნახაზები და ტექნო-
ლოგიური სქემები, რომელთა საფუძ-
ველზე დამზადებულ იქნა ლობირს
ბუჩქების საჭრელი მოწყობილობების
საცდელი ნიმუშები. (იხ.სურ.2).

აღნიშნული მოწყობილობის საშუ-
ალებით, აგრეგატის ერთი გავლით



სურ. 3. ლობიოს ბუჩქების საჭრელი ოთხ-რიგიანი მოწყობილობა (ცვერდხედი)



სურ. 4. ლობიოს ბუჩქების საჭრელი ოთხრიგიანი მოწყ.-ბა (უკანხედი)

ხდებოდა მხოლოდ ორი რიგის და-მუშავება (რიგთაშორისებში მანძი-ლი შეადგენს 60-70 სმ), ხოლო ჩვენს მიერ შემოთავაზებული ახალი კონ-სტრუქციის საშუალებით, აგრეგა-ტის ერთი გავლით შესაძლებელია ლობიოს ნათესების 4 რიგის დამუ-შავება (იხ. სურ. 3; სურ. 4). აღნიშნუ-ლი მოწყობილობა შესდგება ლობიოს ბუჩქების ერთმანეთში შეზრდილი ღეროების განმაცალებელი ვერ-

ტიკალური სეგმენტური დანებისგან, ნიადაგის ვერტიკალურ სიბრტყეში მჭრელი დისკოებისაგან, ჰორიზონ-ტალურ სიბრტყეში განლაგებული ორი ბრტყლად მჭრელი დანებისაგან და მოჭრილი ბუჩქების რიგთაშორი-სებში გადამადგილებელი დამცურე-ბელი წკირებიანი ფარებისგან.

აღნიშნული მოწყობილობის საც-დელი ნიმუში 2022 წელს დამზადე-ბულ იქნა აგროსაინუნრო კვლევის

სამსახურის სახელოსნოში და გამოც-დილ იქნა „ცენტრის“ ბაზაზე წილკან-ში. 2023 წელს გათვალისწინებულია მოდერნიზებული მოწყობილობის გა-მოცდა საწარმოო პირობებში.

გარდა ზემოთ აღნიშნული კვან-ძებისა რეკომენდებული მოწყო-ბილობის დაკომპლექტება ხდება დამატებითი ბრტყლად მჭრელი და-ნებისგან, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია ფერდობ ადგილებში; შესაბამისად ხდება მხოლოდ ორი რიგის დამუშავება, რაც ამარტივებს აგრეგატის მუშაობას დახრილ პი-რობებში.

6. გვარიძე,

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გ. მაჩარაშვილი, სპეციალისტი;

ბ. კაძაბაძე, მექანიკისი;

ა. გამაშვილი, მექანიკისი

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

გებოს მოყვანა

კიტრის მოყვანა

კიტრი ფაქტიზი მცენარეა, უავრობება, ღია გრუნტი ტორცის ან ქა-დალდის შიგით გადავითანოთ, რათა ჩითილი ფესვების ამოღვა ამოღვისას სტრე-სი არ მიღოს. იგივე შეიძლება ითვალის გორგაზე, ნავაზე, ყაბაზსა თუ პატისონზე.

კიტრი ერთნლოვანი, ორლებნიანი მცენარეა, გოგრისებრთა ოჯახიდან, მხვიარა ღეროთი. კიტრის დამტკერ-ვას ახდენენ მწერები (ფუტკრები). საკვებად გამოიყენება მოუმწიფებე-ლი ნაყოფები. მცენარის განვითარე-ბისათვის აუცილებელია თბილი კლი-მატური პირობები, არანაკლებ +12, +15°C. კიტრი ყველაზე უკეთ იზრდე-ბა +25, +30°C ჰაერისა და ნიადაგის +20, +25°C ტემპერატურის დროს. 1 გრამი კიტრის თესლი 30-35 მარც-ვალს შეიცავს.

ცივ ნიადაგში კიტრის ფესვთა სის-ტემაცუდად ფუნქციონირებს, განვი-თარება წყდება და მცენარე იღუპება. როგორც უკვე აღვინიშნეთ, მცენარე განსაკუთრებით კარგად ვითარდება ჰაერისა და ნიადაგის მაღალი ტემპე-

რატურისა და შესაფერისი ტენიანო-ბის დროს.

გამოხშირების შემდეგ მცენარეებს უტარდება გამოკვება მინერალური და ორგანული სასუქებით. მინერა-ლური გამოკვებისას 10 ლიტრ წყალში იხსნება 15 გ. შარდოვანა ან 20 გ. ამო-ნიუმის გვარჯილა, 30 გ. სუპერფოს-ფატი და 20 გ. კალიუმის სულფატი. სნანარის ეს რაოდენობა გათვალის-წინებულია 2d^2 -ზე. ორგანული სასუ-ქით გამოსაკვებად გამოიყენება 1:10 წყალში გახსნილ ნაკელი, ან 1:5 წუნ-წუხი – 5 ლიტრი 1d^2 -ზე. გამოკვების შემდეგ მცენარეებს რწყავენ სუფთა წყლით, რათა მცენარეთა ფოთლებიდან ჩამოირცხოს სასუქის ნარჩე-ნები, შესაძლო დამწვრობის თვიდან ასაცილებლად. აუცილებელია, მორ-



ნევის რეგულარულად ჩატარება, რა-თა მცენარე არ დაჭკნეს და ნიადაგი არ გამოშრეს. თბილ, მზიან დღეებში კიტრი უფრო ხშირად იორნიუება. ჰა-ერის ტენიანობის გასაზრდელად, ნიადაგი იორნიუება მზეზე შემთბარი წყლის მცირე ნორმებით, დაწვიმე-ბის სისტემის გამოყენებით. დაუშ-ვებელია კიტრის მორწყვა 10°C -იანი წყლით, რადგან ამ დროს მცენარეები ფესვის სიდამპლით ავადდებიან.



რნეუვის დრო და ნორმა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. გვალვიანზაფხულში რნეუვის ხშირად, წვიმიანში – იშვიათად. მორნეუვის ნორმა, აგრეთვე, დამოკიდებულია მცენარის მდგრამარეობაზე. ახალგაზრდა მცენარეები ცოტა წყალს მოიხმარენ და მათი მორნეუვა ზომიერად ხდება (5-10 ლიტრი 1⁸²-ზე). ყვავილობის ფაზაში რნეუვას წყვეტები და აახლებენ მსხმოიარობის დაწყებისას, გაზრდილი ნორმებით (15-20 ლიტრი მ²-ზე). მორნეუვის შემდეგ ხდება რიგ-თაშორისების გაფხვიერება, რათა არ წარმოქმნას ქერქი და შემცირდეს აორთქლება.

თუ ამინდის პირობების გამო (დრო-ებითი აცივება) კიტრის მიწისზედა ნანილები არ ვითარდება, საჭიროა მცენარის ფოთლებიდან გამოკვება მინერალური სასუქების სუსტი კონცენტრაციის სხნარით. 10 ლიტრ წყალში სხნიან 5 გრამ შარდოვანას, სუპერფილოსფატის 12 გრამს და კალი-

მის ქლორიდის 7 გრამს. მცენარებს ამუშავებენ ზურგის აპარატით, არჯვის ნორმა – 0,5 ლიტრი ხსნარი მ²-ზე.

კიბილის მოსავალი და
მოპრეზა

მცენარეები მსხმოიარობას იწყებენ დათესვიდან 40-50 დღის შემდეგ. ამ დროიდან აუცილებელია ნაყოფების რეგულარული კრეფა, ხოლო მასიური მსხმოიარობის პერიოდში ყოველდღე ან ყოველ 2 დღეში ერთხელ. იკრიფება არა მარტო სასაქონლო სახის მქონე ნაყოფი, არამედ დეფორმირებული (მოღუნული), ავადმყოფი, დაზიანებული და გადაზრდილი ნაყოფებიც, რადგან ისინი ფიტავენ მცენარეს და აფერხებენ ახალი ნასკვების წარმოქმნას.

ნაყოფი უნდა მოიკრიფოს ფრთხილად, დიდი თითის ყუნწებებით. ამასთან, ყუნწი რჩება მცენარეზე. დაუშვებელია კიტრის გამოქაჩივა, გადაგრევა. აგრეთვე, დაუშვებელია ნამხრევების ფეხით გათელვა – მათ ფრთხილად გადანევენ გვერდზე.

პირველი საშემოდგომო ნაყინვის
შემდეგ იყრიცება ყველა ნაყოფი,
მათ შორის პატარებიც (კორნიშონი,
პიკული). კიტრის საშუალო მოსავ-
ლიანობა ღია გრუნტში შეადგენს 2-3
კვ 1 m^2 -ზე.

ପିତିରିଲ୍ ଜଗନ୍ନାଥ

კიტრს სათბუროში (დახურულ გრუნტში), უმეტესად, ზამთარ-გაზაფხულის კულტურათბრუნვაში აწარმოებენ. იანვარ-თებერვლიდან ივლის-აგვისტომდე, უმეტესად, მოსაკლიანი

და დავადებების მიმართ გამძლე
ჰიბრიდები გამოიყენება.

კიტრი „ზაზულია“ – საადრეო, სა-შუალოდ დატოტვილი ჰიბრიდია. მსხმოიარობაში შედის აღმოცენები-დან 50 დღეში. ისხამს ცილინდრული ფორმის, 16-20 სმ სიგრძისა და 150-170 გრამიან ნაყოფებს, ხორკლიანი ზედაპირით.

კიტრი „აპრელსკი“ – ყველა მონა-
ცემით „ზაზულიას“ მსგავსი ჯიშია.
კიტრი „სიურპრიზი 66“ – საშუალო
სიმწიფის, საშუალოდ ფოთლიანი
და დატოტვილი მცენარეა. ისხამს
ცილინდრული ფორმის ნაყოფებს,
ხორცულიანი ზედაპირით. ნაყოფის
სიგრძე 14-18 სმ-ია, ხოლო წონა –
100-120 გრ.

კიტრი „მაისკი“ – საადრეო, ფუტ-კარმტვერია (არაპართენოკარპული) მცენარეა. მსხმოიარობას იწყებს აღ-მონაცენის გამოჩენიდან 50-55 დღე-ში. მცენარე ძლიერ მზარდია, ნაკლე-ბად დატოტვილი. ნაყოფები ცილინ-დრულია, სიგრძით 17-20 სმ, წონით – 180-200 გრ.

კიტრი „კრისტალი“ – საადრეო
ფუტკარმტვერია (არაპაროტნოკარ-
პული) მცენარეა. პირველი ნაყოფები
აღმოცენებიდან 50-55 დღეში ფორ-
მირდება და ახასიათებს ერთდროუ-
ლი შემოსვლა. ნაყოფი ოვალურ-ცი-
ლინდრული ფორმისაა, სიგრძით 20-
25 სმ, ნონით – 180-260 გრ.

კიტრი „ევოლუცია“ – საადრეო
(პართენოკარპული) ჯიშია. პირველი
ნაყოფები აღმოცენებიდან 50 დღეში
ფორმირდება. ახასიათებს ერთდრო-
ული შემოსვლა და კარგი გემო. ნაყო-
ფის სიგრძე 20-25 სმ-ია, მასა – 180-
200 კრ.

ԱՐԹՈՒՐ ՄԵԼքոնյան

ՔԱՐԴԱՆԱԿՑՈՒՅԹ ՀՈԽՈՎ

პოლიტიკური განსაკუთრებით ქვიშას სამიურნეო კულტურა. მისი ცალკეული გამოიჩინება გადაღი საგამოვლო თვისებებით და მრავალმხრივი მოხარებით. პოლიტიკურს გამოიყენება როგორც ნედლი, ასევე, გადამუშავებული სახითაც (ტომატის პასტა, ტომატის პიურე, ცვენი, მცირებული და ა.შ.).

პომიდორი განსაკუთრებული ქი-
მიური შემადგენლობით ხასიათდება
– მისი ნაყოფი მდიდარია ვიტამინებით.

ბითა და ადამიანის ჯანმრთელობი-
სათვის სასარგებლო სხვა ნივთიე-
რებით.



სიმაღლის მიხედვით პომიდვრის
ჯიშები ორ ჯგუფად იყოფიან: დე-
ტარმინანტული (დაბალმზარდი) და

ინდეტერმინანტული (მაღალმზარდი). დეტერმინანტული ჯგუფის მცენარის ბუჩქი 50-70 სმ, ზოგჯერ კი უფრო ნაკლები (30-45 სმ) სიმაღლისაა. ასეთ ტიპის მცენარეზე, ღეროს ქვედა ნაწილზე, სანაყოფები მტევნები ყოველი 1-2 ფოთლის შემდეგ წარმოიქმნება. ღეროს ზემოთ ნაწილში კი ისინი ერთმანეთს მოსდევენ, რითაც მცენარის ზრდა იზიდუდება.

ინდეტერმინანტული ჯიშები ძლიერი ზრდისაა (70 სმ-დან 500 სმ-მდე). მტევნები მცენარეზე ყოველი მეორე-მეოთხე, ხოლო არასაკმარისი განათების პირობებში ყოველი მე-4-5 ფოთლის შემდეგ ვითარდება. სანაყოფები მტევნები, ჩვეულებრივ, დიდია, ზოგჯერ – დატოტვილი. ინდეტერმინანტული ჯიშებს აქვთ ძლიერ დანაკვთული ფოთლები, ხანგრძლივი სიმწიფის პერიოდი და იღლიის შიდა ყლორტების – ნამხრევების დიდი რაოდენობით განვითარების უნარი.

სავეგეტაციო პერიოდის მიხედვით განასხვავებენ საადრეო პომიდორის (100 დღემდე), საშუალო პომიდორის (105-120 დღე) და საგვიანო პომიდორის (120 დღეზე მეტი) ჯიშებს. გარდა ამისა, პომიდორის ნაყოფები ფრიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნაყოფის ფორმის, ფერისა და ზომის მიხედვით. პომიდორის ნაყოფები ნონის მიხედვით იყოფა: წვრილ (60 გრამამდე), საშუალო (60-100 გრამი) და მსხვილ ნაყოფებად (100 გრამზე მეტი).

პომიდორი სითბოსა და ტენის მოყვარული კულტურაა. თესლი წვრილია, ოდნავ შეუსული, 1 გრამ თესლში 300-350 მარცვალია. პომიდორის სანარმოებლად მიმართავენ ჩითილის გამოყვანას. თესლი გაღვივებას იწყებს +10°C ტემპერატურაზე. ჩითილის გამოყვანისას დაცული უნდა იყოს განათებასთან შეთანხმობილი ტემპერატურული რეჟიმი. კარგი განათება და ტემპერატურული რეჟიმი – დღისით +20, +25°C, ხოლო ღამით +9, +12°C, ხელს უწყობს ფესვთა სისტემის მძლავრ განვითარებას და კომპაქტური, საშუალო სიმაღლის, კარგად შეფოთლილი ჩითილის მიღებას.

გრუნტს ამუშავებენ 25-30 სმ სიღრმეზე, 1 მ²-ზე შეაქვთ 10-15 კგ. კომპოსტი ან ნაკელი, აგრეთვე, მინერალური სასუქები.

ჩითილის გადარგვამდე გრუნტს

10-15 სმ სიღრმეზე ასველებენ. დასარგავად არჩევენ ნორმალურად განვითარებულ, ჯანმრთელ, მექანიკურად დაუზიანებელ ჩითილებს.

მცენარეებს რგავენ რიგებად, რიგში მცენარეთა შორის 50 სმ, ხოლო რიგებს შორის – 80 სმ დაშორებით (2,5 მცენარე 1 მ²-ზე), ან ორმაგ რიგებად – მცენარეთა შორის 50-60X40-50, ხოლო რიგებს შორის 90-100 სმ დაშორებით (საშუალოდ 3,0-3,5 მცენარე 1 მ²-ზე). ჩითილებს რგავენ ვერტიკალურად, პირველი სავეგეტაციო ფოთლის სიღრმეზე.

ღია გრუნტში პომიდორის მოსაყვანად ნაკვეთს შემოდგომაზე ამზადებენ. მოხვინის ნინ შეაქვთ კალიუმიანი და ფოსფორიანი სასუქების მთელი ნორმა (K₂O – 100-150 კგ და P₂O₅ – 100-150 კგ/ჰა-ზე). თუმცა, რეკომენდებულია ნიადაგის ანალიზის ჩატარება მასში pH-ის, NPK, Ca, Mg და Zn-ის შემცველობის დასადგენად, რა-

მე – 1-2 სმ. თუ ჩითილებში უნდა გადაირგოს, კვლები წინასწარ უნდა მომზადდეს. გადარგვისას შეაქვთ აზოტოვანი სასუქის დოზის 1/3 (30-40 კგ. სუფთა ნივთიერება). ჰექტარზე რგავენ 20,000-25,000-მდე მცენარეს. როგორც წესი, ღია გრუნტში გადასარგავად იყენებენ დეტერმინანტულ (დაბალმზარდ), სუფრის ან სანარმოო პომიდვრის ჯიშებს და პიპრიდებს.

პომიდორი უკეთ ხარობს შემაღლებულ კვლებზე, რადგან გაზაფხულზე ასეთი კვლებზე ნიადაგი სწრაფად თბება და ხელს უწყობს მცენარის ზრდას. შემაღლებული კვლები ხელს უწყობს, ასევე, ნიადაგის დრენირებას და იცავს მას ჭარბი ტენისაგან. თუმცა, გვალვიან პერიოდში შემაღლებულ კვლები დარგულ პომიდორს უფრო მეტი მორწყვა სჭირდება.

პომიდვრის მოვლა მოიცავს რიგთაშორისების გაფხვიერებას და ზო-



თა ზუსტად განისაზღვროს ნიადაგში შესატანი სასუქების რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, კარგი მოსავლის საწინდარია.

გაზაფხულზე გამოყვანილი ჩითილის გადარგვას აპრილის ბოლოდან იწყებენ. მინდორში გადარგვამდე ათი დღით ადრე უნდა განხორციელდეს გავაუსავებელი პროცესი, რათა მცენარეებმა არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიმართ შემგუებლობა გამოიმუშაონ. მცენარეების მოსაძლიერებლად უნდა შემცირდეს მორწყვის სიხშირე. ჩითილის მინდორში გადარგვამდე, ისინი კარგად უნდა მოიწყოს, რათა ფესვები არ გაუშრეთ. ჩითილების გამოსაყვანად ერთი ჰექტარისათვის საჭიროა 300-500 გრამი სათესლე მასალა, ჩატესვის სიღრ-

მიერ რწყვას (250-350 მ³/ ჸა-ზე). უნდა დავაკვირდეთ მცენარისა და ნაყოფის მდგომარეობას. თუ შეუძლიას ან ნაშუადლევს ფოთლები ოდნავ მაინც მომჭერია, ნარგავები აუცილებლად უნდა მოიწყოს.

პომიდვრის წარმოებისას, აუცილებელია, თესლბრუნვის დაცვა (უნდა წარმოებდეს კულტურათა მონაცელება). დაუშვებელია პომიდვრის მოყვანა იმ ნაკვეთზე, სადაც წინა წელს განთავსებული იყო ძაღლურებების კულტურები, როგორებიცაა: კარტოფილი, ბადრი-ჯანი, პომიდორი ან წინაკა.

საჭიროების შემთხვევაში, ჩითილის გადარგვამდე აუცილებელია ნიადაგის დამუშავება ტოტალური ჰერბიციდებით (კლინი, ურაგანი,



გლიფოგანი), რადგან სარეველები მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების უმთავრეს წყაროს წარმოადგენენ.

თამბაქოს მომხმარებელი უნდა მოერიდოს ჩითილების ხელით შეხებას, ხელის დაბანის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება თამბაქოს ვირუსით დაავადების ალბათობა.

მოსავალი იკრიფება დილით ადრე, სიგრილეში, ხოლო შემდეგ ჩრდილში გადააქვთ. ნაყოფი უნდა მოიკრიფოს ფრთხილად, დაზიანების გარეშე. კალათებსა და ყუთებში არ უნდა იყოს მიწა ან სხვა ნარჩენები, ნაყოფს უნდა მოშორდეს დეროები. დამწიფებული ნაყოფი ინახება $7-10^{\circ}\text{C}$ -ზე, 90-95% ფარდობითი ტენიანობის პირობებში.

პომილვრის გამორჩეული პიშვები

„ჯინა“

(მწარმოებელი პოლანდიურ-ამერიკული კომპანია „შემინის“) – მწარმოებელი პოლანდიური კომპანია „შემინის“) – ლია გრუნტის დეტერმინანტული (დაბალმზარდი) ტიპის, სასალათე პომიდორია. „ჯინა“ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ყველაზე ადაპტირებული და პოპულარული ჯიშია. მცენარე მოსავალს დათესვიდან 110-120 დღეში იძლევა. ნაყოფი არის საკმაოდ ტრანსპორტაბელური, კარგი გემოსი, საშუალო ზომის, წონით 180-200 გრამი.

– ლია გრუნტის დეტერმინანტული (დაბალმზარდი) ტიპის, სასალათე პომიდორია. „ჯინა“ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ყველაზე ადაპტირებული და პოპულარული ჯიშია. მცენარე მოსავალს დათესვიდან 110-120 დღეში იძლევა. ნაყოფი არის საკმაოდ ტრანსპორტაბელური, კარგი გემოსი, საშუალო ზომის, წონით 180-200 გრამი.

„ფლორიდა 47“ (მწარმოებელი პოლანდიურამერიკული კომპანია „შემინის“) – ლია გრუნტის, დეტერმინანტული (დაბალმზარდი) ტიპის სასალათე პომიდორის პიპრიდი. მწიფობაში შედის გადარგვიდან 70-75 დღეში. ნაყოფი ოდნავ შებრტყელებული მრგვალი ფორმისაა, საშუალოზე დიდი ზომის – 200-250 გრამი, მკვრივი და საკმაოდ ტრანსპორტაბელური.

„დებიუტი“ და **„ელეგრო“** (მწარმოებელი პოლანდიურ-ამერიკული კომპანია „შემინის“) – ლია გრუნტის, დეტერმინანტული (დაბალმზარდი)

ტიპის სასალათე პომიდორის პიპრიდი. მწიფობაში შედის გადარგვიდან 65-70 დღეში. ნაყოფი ოდნავ შებრტყელებული მრგვალი ფორმისაა, საშუალოზე დიდი ზომის – 200-250 გრამი, მკვრივი და საკმაოდ ტრანსპორტაბელური.

„შედი-ლედი“ (მწარმოებელი გერმანული კომპანია „Nunhems“) – ლია გრუნტის, დეტერმინანტული (დაბალმზარდი) ტიპის სასალათე პომიდორის პიპრიდი. მწიფობაში შედის გადარგვიდან 65-75 დღეში. ნაყოფი ოდნავ შებრტყელებული მრგვალი ფორმისაა, საშუალოზე დიდი ზომის – 160-220 გრამი, მკვრივი.

„ჭოპორტულა“ – დუშეთის, მცხეთის, გორის, ქარელის, კასპის და ხაშურის რაიონებში დარაიონებული ჯიშია. მცენარის სავეგეტაციო პერიოდი 125-130 დღეა. ჭოპორტულა მაღალმოსავლიანია როგორც სარზე აკვრით, ასევე ბაზოზე გადაწვენით. ნაყოფი მსხვილია, კაშკაშა წითელი, სასალათე, გამოირჩევა საუკეთესო გემოთი და არომატით.

„სულთანი“ – პოლანდიური სელექციის მაღალმოსავლიანი პიპრიდი. ნაყოფი მსხვილია, ხასიათდება კარგი გემოთი, ტრანსპორტაბელურობითა და შენახვის უნარით. მცენარის ვეგეტაციის პერიოდი 110 დღეა. „ბიგ-ბიფი“ – სასათბურე ჯიშია. პიპრიდი მაღალმოსავლიანია. ნაყოფი მსხვილია, ხასიათდება კარგი გემოთი, ტრანსპორტაბელურობითა და შენახვის უნარით. მცენარის ვეგეტაციის პერიოდი 120 დღეა.

საფინანსების თვალით

მეორინველერების გდგომარეობა საქართველოში და კარსევები

მეორინველერების დარგებს შორის მეორინველერების პროდუქცია ქველაზე იაზ, გიოლოგიურად კათილსაიმედო, სრულფასოვან და ეპოლოგიურად სუსტა საპვეპ აროლური მიზანება, როგორიც მისაღებია ზველა ეთნიკური და რელიგიური კონფესიისთვის. გამომდინარე აპედან, მისი წარმოება ფერმერული მეურნეობის აიროგებზი, სურსათის უველყობის თვალსაზრისით, ზველაზე უფრო ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და რეჟიმური-ლურია.

მსოფლიო ტენდენციები აჩვენებს, რომ ფრინველის ხორცის წარმოება ყოველწლიურად იზრდება ღორის, მსხვილო რესოსანი პირუტყვისა და ცხვრის ხორცის წარმოებასთან

შედარებით. 2021 წლის მონაცემებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ფრინველის ხორცის წარმოება - 137.3 მლნ. ტ (41,6 %), ღორის ხორცი – 109.9 მლნ. ტ (33.3 %), ძროხის – 67.9

მლნ.ტ (20,6 %) და სხვა დანარჩენი სახეობები – 15.3 მლნ.ტ (4,5 %). მიუხედავად ამისა, თანამედროვე ეტაპზე, მეფრინველების პროდუქცია მსოფლიო მასშტაბით, განიცდის დიდ კონკურენციას. იმისათვის, რომ ბაზოზე შენარჩუნდეს კონკურენტუნარიანობა, საჭირო ხდება, უშუალოდ მომხმარებლის აზრის გათვალისწინება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მომხმარებელი ითვლება პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის „საბოლოო რგოლად“.

საქართველოს მოსახლეობის მეფე-
რინგელების პროდუქციაზე ფიზი-
ოლოგიური მოთხოვნილების დაკმა-
ყოფილების მიზნით ქვეყნაში წარმო-
ებული უნდა იქნეს 815 მილიონი ცა-
ლი სასურსათო კვერცხი და 67 ათასი
ტონა ფრინველის ხორცი. სტატის-
ტიკური სამსახურის მონაცემებით
2021 წელს ქვეყანაში წარმოებაუ-
ლია 654,8 მილიონი ცალი სასურსა-
თო კვერცხი (მოთხოვნი-ლების 73,8
) და 25,5 ათასი ტონა ფრინველის
ხორცი (მოთხოვნილების 37,8%).
მეფრინველების საქართველოში
ტრადიციულად გააჩნდა მაღალი სა-
ნარმოო პოტენციალი. ფრინველის
პროდუქტიულობის ყველაზე მაღა-
ლი მაჩვენებლები 1988-90 წლებზე
მოდის, როცა ფრინველის რაოდენო-
ბა ყველა კატეგორიის მეურნეობებ-
ში 24 მილიონს შეადგენდა. ყოველ-
წლიურად ქვეყანაში იწარმოებოდა
890,2 მილიონი ცალი სასურსათო
კვერცხი და 37,5 ათასი ტონა ფრინ-
ველის ხორცი.

ამჟამად მეტონველეობის დარგის მთავარი პრიორიტეტი ადგილობრივი ბაზის ათვისებაა, რათა მინი-მუმამდე შევამციროთ იმპორტი და ხელი შევუწყოთ ადგილობრივ წარმოებას. ამ მხრივ, უკეთეს მდგომარეობაშია მევერცხული მეფრინველეობა, სადაც ფრინველის სულადობა სავარაუდო 2,3 მილიონ ფრთას შეადგენს. მათგან გამორჩეულია მსხვილი ფაბრიკები: შპს „კოდა“ (470 ათასი კვერცხმდებელი), შპს „დილა“ (380 ათასი), შპს „პატარძეული“ (170 ათასი), შპს „სავანეთი“ (150 ათასი), შპს „კუმისი“ (140 ათასი), შპს „ალგეთი“ (100 ათასი) და საშუალო სანარმოები: შპს „საგარეჯო“ (40 ათასი), შპს „სართიჭალა“ (32 ათასი) და სხვა. საქართველოში დღეისათვის მოქმედებს სხვადასხვა სიმძლავრის ქათმის მეკვერცხული მიმართულების 20-მდე წერილი ფერმერული მეურნეობა, სადაც განსაკუთრებით მწვავედ დგას მათთვის მაღალპროდუქტიული ქათმის სარგმონტო მოზარდეულის იმპორტი მისი შემოყვანის მაღალი ხარჯებიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, მოქმედი მსხვილი და
საშუალო მეცნერცხული მეფინონვე-
ლების სანარმოების სარემონტო
მოზარდეულით დაკომპლექტების
მიზნით საჭიროა ქვეყანაში ფუნქცი-
ონირებდეს მეორე რიგის სანაშენე
რეპროდუქტორი, სადაც მოშენებუ-



ლი იქნება 26 ათასი ფრთა სანაშენე მშობელთა გუნდი, რომლის წლიური ნარმოება იქნება 5 მილიონი ცალი საინკუბაციო კვერცხი. კვერცხის ეს რაოდენობა საკმარისი იქნება 2,4 მილიონი ფრთა სამრეწველო გუნდის დასაკომპლექტებლად, სადაც ყოველწლიურად ნარმოებული იქნება 700 მილიონ ცალზე მეტი სასურსათო კვერცხი (ფიზიოლოგიური მოთხოვნილების 86 %-მდე). მოსახლეობის კვერცხზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებისთვის საჭიროა 3 მილიონ ფრთამდე ქათმის მაღალპროდუქტიული მეკვერცხული კროსით სამრეწველო გუნდის დაკომპლექტება, რისთვისაც დაგვჭირდება მეორე რიგის რეპროდუქტორის კიდევ 12 ათასი ფრთით აზროვა.

მეფირინველეობის განვითარების
შემდეგ ეტაპზე მიზანშენონილია
აშენდეს მაღალპროდუქტოული მეკ-
ვერცხული კროსის პირველი რიგის
სანაშენე რეპროდუქტორი და სა-
მომშენებლო მეურნეობა. სანაშენე
საწარმოების ქსელის აღდგენით მეკ-

ვერცხული მიმართულების მეფრინ-
ველეობის ფერმერულ მეურნეობებს
შექცლებათ ადგილზე შეიძინონ იაფი
და მაღალხარისხიანი სანაშენე მა-
სალა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად
შემცირდება იმპორტირებული პრო-
დუქცია, დასაქმდება ადგილობრივი
მუშახელი, რითაც გაუმჯობესდება
მოსახლეობის სოციალურ-ეკონომი-
კური დონე, გაიზრდება ქვეყნის სა-
ბიუჯეტო შემოსავლები და სტიმული
მიეცემა მონათესავე საწარმოების
(მარცვლეულის ნარმოება, გადამა-
მუშავებელი საწარმოები და სხვა)
ამზადებას.

მეკვერცხული მეფრინველების
ერთ-ერთი მიმართულება მომავალში
უნდა იყოს კვერცხის ღრმა გადამუ-
შავება. ამ მიმართულებით ძალზედ
მნიშვნელოვანია კვერცხის თხევადი
და მშრალი პროდუქტები, ფერმენ-
ტირებული, პასტერიზებული გაყი-
ნული ყვითრი, რომელიც დაფასოე-
ბულია სხვადასხვა წონით, კვებისა
და საკონდიტრო მრეწველობისათ-
ვის. კვერცხის ღრმა გადამუშავების
შემთხვევაში მეკვერცხული მიმარ-





თულების მეფრინველეობის ფაპრიკების რენტაბელობა ორჯერ გაიზრდება.

შედარებით ცუდი მდგომარეობა მეხორცულ მეფრინველეობაში. აქ წარმოებული ქათმის ხორცის ბაზრის მხოლოდ 37,8% უკავია. მოსახლეობის უზრუნველსაყოფად საჭიროა 67 ათასი ტონა ფრინველის ხორცი, ჩვენ კი ვაწარმოებთ მხოლოდ 26 ათას ტონამდე. საწარმოები ძირითადად აშენებენ მეხორცულ კროს „როს 308“-ს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სანაშენე კუთხით, მეფრინველულ მეფრინველეობასთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობაა. აქ ფუნქციონირებს 3 სანაშენე ფერმერული მეურნეობა (წოსტე, საბუდარა და ჩირინა), რომლებიც წლიურად აწარმოებენ 20 მილიონ ცალ საინკუბაციო კვერცხს, რაც 16 მილიონი ერთდღიანი ბროილერის მიღების საშუალებას იძლევა. ლიდერის ფუნქცია შპს „ჩირინას“ ეკუთვნის, სადაც აუამად ფუნქციონირებს სანაშენე მშობელთა გუნდი 90 ათას ფრთაზე და აწარმოებს 26,3 მილიონ საინკუბაციო კვერცხს, ადგილზე ახდენს 10 მლ კვერცხს, ინკუბაციას და 9 მლ ფრთა ბროილერის გამოიზრდას. დარჩენილი 16,3 მილიონი ცალი საინკუბაციო კვერცხის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ფერმერებზე. გარდა ამისა, საბრო-ილერო სამრეწველო მეფრინველეობა წარმოდგნილია ათამდე მსხვილი და საშუალო სანარმოთი (შპს-ები: „დილა“, „კოდა“, „მუხრანული“, „თელეთი“, „ინდ.მეწარმე ე. ნოზაძე“ და სხვ.) და მრავალიცხოვანი წვრილი ფერმერული მეურნეობებით, სადაც წლის მანძილზე თავისუფლად შეიძლება გამოიზარდოს 12,8 მილიონამდე ფრთა ბროილერი და შესაბამისად, წარმოებული იქნას 15,6 ათასი ტონა ბროილერის ხორცი.

მეხორცული მეფრინველეობის განვითარებას ხელს უშლის არასტაბილური ბაზარი. მოსახლეობის დაბალი მსუბუქელუნარინობის გამო, ადგილობრივი პროდუქცია კონკურენციას ვერ უშევს იმპორტირებულ იაფფასიან ხორცს. მწარმოებლებს ბროილერების გამოზრდა ნაცვლად 35 დღისა, უნევთ ხანგრძლივად, ეს კი ზრდის საკებების დანახარჯს, ამცირებს წინამდებარებას და წარმოებას არარენტაბელურს ხდის. ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია, ლიბერალური გადასახადები. სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტი, გარდა მეფრინველეობისა, გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან. ამასთან დიდია საბაჟო გადასახადები სხვადასხვა დანადგარების შემოტანაზე. ფერმერებს ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე, სთხოვენ სასაკლაობების მოწყობას სტ-ს სტანდარტებით, რაც დაკავშირებულია დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. ბროილერის ხორცზე მოსახლეობის დაქმაყოფილებისათვის საჭირო იქნება არსებული სანაშენე სიმძლავრების სამჯერ გაზრდა.

რაც შეეხება ფერმერულ მეურნეობებს საქართველოში ფუნქციონირებს რამოდგნიმე საშუალო და წვრილი ფერმერული მეურნეობა, რომლებიც ძირითადად აწარმოებენ მეხორცული მიმართულების ფრინველს. ასე მაგ., სამტრედის მუნიციპალიტეტში არსებულ ფერმერულ მეურნეობა შპს „ვერს“ გააჩნია 1200 ფრთა ადგილობრივი ქათმის სადედე გუნდი და ყოველწლიურად რეალიზაციას უკეთებს 50 ათას ცალ საინკუბაციო კვერცხს და 100 ათას ფრთა ადგილობრივი ქათმის მოზარდს. გარდა ამისა ყოველწლიურად ზრდის 8000-9000 ფრთა ბროილერს. ამასთან

ერთად, ფერმერულ მეურნეობაში არის 800 ფრთა მეკვერცხული კროსი „ტინტი“ სასურსათო კვერცხის საწარმოებლად. ასეთივე ფერმერული მეურნეობა არსებობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში შპს „გოდო-განი“, რომლიც ძირითადად აშენებს ადგილობრივ ფრინველს და სასურსათო კვერცხის წარმოების მიზნით მოშენებული ჰყავს მაღალპროდუქტიული კროსი „ლომან კლასიკი“. საქართველოში არსებობენ წვრილი ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ყოველწლიურად ზრდიან 2000-დან 5000-ფრთამდე ბროილერს.

არასახარბიელო ვითარებაა საქართველოს რეგიონებში უსსოვარი დროიდან გავრცელებული ადგილობრივი ფრინველის მოშენების თვალსაზრისით. ამჟამინდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ საქართველოში, ფრინველის ადგილობრივი გენოფონდი თანდათანობით მცირდება და იყო შემორჩენილია მხოლოდ საკარმიდამ მეურნეობებში. მისი ყველა პოპულაცია ხასიათდება ცხოველმყოფელობის მაღალი დონით, რაც ვლინდება მათ რეზისტენტობაში ზოგიერთი ინფექციური დაავადების მიმართ, ამასთან ერთად, იძლევიან მაღალი ხარისხის ხორცს და კვერცხს, მაგრამ ხასიათდებიან შედარებით დაბალი პროდუქტიულობით. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში, გამოჩნდნენ საკარმიდამ ტიპის ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ამჟღავნებენ ინტერესს ადგილობრივი ფრინველის მოშენების მიმართ, რაც მისასამართებელია. ადგილობრივი ფრინველის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით კარგ შედეგს იძლევა მათი შეჯვარება მაღალპროდუქტიულ მეხორცულ და მეკვერცხულ ჯიშებთან.

ქათმის კვერცხის და ხორცის წარმოების პარალელურად და ასორტიმენტის გაფართოების მიზნით მნიშვნელოვანია ინდაურის, ბატის, იხვის, მწყერის, ციცრის და ხოხის კვერცხისა და ხორცის წარმოება და შესაბამისი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება.

მუხა ნაცვალები,
სოფლის მეურნეობის დოუტონი,
სხიპ სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის
მთავარი სპეციალისტი

მომზადებობა და სანაზარი საქა განვითარებაში

საქართველოს მიზანურობის კომალებების ჩატარებულია კვლევითი სამუშაოები გვირვენა, რომ მათ მომზადების მაურნეობაში თითოების ყველა გან შესუსტებულია სამუშაოები გოფვრების პროცესის საფარის სისტემის, ცოცხალი მასისა და სახორცი აროდული ულოგის გაზრდის მიზნით. ნაკლები ზურადლება ეძლევა ცხოველთა შემჩვევას და გადარჩევას.

სანაშენო საქმის გასაუმჯობესებლად აუცილებელია: სანაშენო ბირთვის შექმნა, ძირითადი ფარის კლასობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, სანაშენო საქმის გეგმების შემუშავება, რაც ითვალისწინებს მეხორცულობის, მაღმნიფადობის, ბენვოვანი საფარის ხარისხის და საკვების ანაზღაურების გაუმჯობესებას, აგრეთვე მნარმოებლების შეფასებას შთამომავლობის მიხედვით.

(სქემა №1)

მაღლები	დედლები
კალიფორნიული	რუხი გოლიათი
ახალზელანდიური თეთრი	საბჭოური შინშილა
ახალზელანდიური თეთრი	კალიფორნიული
რუხი გოლიათი	ახალზელანდიური თეთრი
ქართული სახორცე-ტყავბენვეული	საბჭოური შინშილა
თეთრი გოლიათი	საბჭოური შინშილა

გოფვრების მომზადებისა და შეჯვარების სტანდარტი

სანაშენო კომპლექსები
დედისეული ფორმების
სრულყოფა, ტიპების
და ხაზების შექმნა

საკონტროლო
საცდელი სადგურები

სანაშენო კომპლექსები
მამისეული ფორმების
სრულყოფა ტიპების და
ხაზების შექმნა

სანაშენო კომპლექსები
დედისეული ფორმების
გამრავლება

მნარმოებლის
შეფასება
შთამომავლობის
ხარისხის მიხედვით

სანაშენო ფერმები
მამისეული ფორმების
გამრავლება

სანაშენო ფერმა

სარემონტო ბიცვრების ნარმოება საქონლის
ფერმების რეპროდუქტორების და კომპლექსებისათვის
დედისეული და მამისეული ფორმების შეჯვარება

სასაქონლო ფერმა და რეპროდუქტორები

ორჯიშიანი ნაჯვარი
მოზარდის ნარმოება

სამჯიშიანი ნაჯვარი
მოზარდის ნარმოება

ნაჯვარი მოზარდის კვება



სამუშაოს ამოცანები და მეთოდები მეურნეობის დანიშნულებით უნდა განისაზღვროს. მებოცვრეობის მეურნეობაში სანაშენო და პროდუქტიული თვისებების სრულყოფა უნდა ჩატარდეს ხალასჯიშიანი მოშენების მეთოდით, ხოლო არსებული ჯიშების გაუმჯობესება, ახალი ტიპების და ხაზების შექმნით, რაც ფარის სრულყოფის და ახალი მაღალპროდუქტიული ჰიბრიდების და ნაჯვარი სულადობის შექმნის საფუძველს წარმოდით.

ადგენს, სანაშენო ელიტური მოზარდის გამოზრდა უნდა წარმოებდეს საკუთარი ფარის შესავსებად. ხორცის წარმოებისათვის ჰეტეროზისის ეფექტის გამოყენებით მიზანშენობილია სამრენველო შეჯვარების გამოყენება სახორცე-ტყავბენვეულის მიმართულების ჯიშებში. საინტერესოა აგრეთვე ცვლადი შეჯვარებაც, როდესაც შესაჯვარებლად გამოყენება განსხვავებული გენოტიპების მქონე ცხოველები, რაც იწვევს ჰეტეროზისის ეფექტს მიღებულ შთამომავლობაში.

კუმისის მებოცვრეობის კომპლექსში ჯიშთაშორისი შეჯვარების გამოყენებით მაღალი შედეგებია მიღებული შემდეგი ჯიშების შეხამებით (სქემა №1).

მებოცვრეობაში სანაშენო საქმე ფართო მასშტაბებით უნდა წარმოებდეს. სასურველია ხაზების უწყვეტი შემოწმება რეციპროკული პერიოდული სელექციით, კორელაციის კონფიგურაციის დადგენით, მკაცრი ინდიკატორების გამოცდა შთამომავლობის პროდუქტიულობის მიხედვით. ბოცვრების პროდუქტიულობის სრულყოფა უნდა ჩატარდეს მათი გენოტიპის და გარემოს პირობების გათვალისწინებით.

ჰეტეროზისი მიიღება იმ შემთხვევაში თუ შესაჯვარებელი ჯიშები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სასარგებლო-სამურნეო თვისებებით.



მაღალი პროდუქტიული ნაჯვარები მიიღება აგრეთვე შესაჯვარებელი ცხოველების საუკეთესო შესამების შერჩევით. შეჯვარების პირველ ეტაპზე უნდა შეირჩეს ჯიში, ხაზი და ინდივიდუ მათი პროდუქტიულობის და სანაშენო თვისებების მიხედვით.

მეორე ეტაპზე – შეირჩეს შესაჯვარებელი ჯიშების საუკეთესო დედლები და მამლები. მიღებული შედეგების შეფასება ხდება შთამომავლობის კროსბრედული მაჩვენებლების მიხედვით.

მესამე ეტაპი – საუკეთესო ცხოველების გაფართოებული აღნარმოება ხალასჯიშიანი მოშენების და შეწყვილების საფუძველზე – ჯიშების ფარგლებში.

მეოთხე ეტაპი – მეორდება პირველის სქემა და პერიოდული სელექცია.

ჰიბრიდიზაციის სასელექციო სამუშაოები იწყება სპეციალიზებული ხაზების შექმნით, ყოველი მათგანის სელექცია ხდება განსაზღვრულ თვისებაზე. შემდეგ ცალკეულ ხაზებს აჯვარებენ ერთმანეთს რეციპროკული შეჯვარების გამოყენებით. შემდეგ იყენებენ ხალასჯიშიან მოშენებას. ნათესაური შეწყვილების გამოყენებით, ზუსტდება ოპტიმალური შეხამება ინბრიდინგის გამოყენებით.

ამ სტადიოდან დაწყებული შეჯვარება აუცილებელია ჩატარდეს ცხოველების ცალკეული ჯგუფების შიგნით ფენოტიპური სელექციის გამოყენებით, რომელიც დამყარებულია განსაზღვრულ სელექციურ ინდექსზე. შეჯვარების შედეგად მიღებული

ჰიბრიდული ბოცვრები ხასიათდებიან კარგად გამოხატული ჰეტეროზისის ეფექტით.

სანაშენო საქმის ორგანიზაცია ჰიბრიდების მისაღებად შესაძლებელია, როცა სელექციონერები შეძლებენ სინთეზური ხაზების შექმნას ჰიბრიდული ცხოველების შესაქმნელად. მამრობითი და მდედრობითი ხაზების სელექციის დროს აუცილებელია მკაცრი გადარჩევის ჩატარება. ხაზების შესაქმნელად საჭიროა ცხოველების ხაზთაშორისი და ჯიშთაშორისი სამრეწველო შეჯვარება ჯიშების, პროდუქტიულობის გათვალისწინებით.

სასკონლო ბროილერების სანარმოებლად რეკომენდებულია ჩატარდეს სამუშაოები სპეციალიზებული ინბრედული ხაზების შესაქმნელად და გასაუმჯობესებლად. მათი შეჯვარება ხდება სახორცე პროდუქციის მიღების მიზნით.

სირთულეს ნარმოადგენს ორი ნიშნის შენარჩუნება – ცოცხალი მასა და სიცოცხლის უნარიანობა. რთულია ახალი ხაზის შექმნა სამი თვისების მიხედვით, ესენია: სიცოცხლისუნარიანობა, საკვების მაღალი ანაზღაურება და აღნარმოების უნარი, რადგან სამივეს გააჩნია მემკვიდრეობის დაბალი კოეფიციენტი.

ჰებოცვრების განვითარებისათვის აუცილებელია გადაწყდეს საკითხი საქართველოში მოშენებული ბოცვრის ჯიშების მიმართულებების შესახებ. საზღვარგარეთ (იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და აშშ) ტყავ-ბეწვეულის ჯიშის ბოცვრების

მოშენება არ წარმოებს. ბოცვრებს ამ ქვეყნებში ტყავ-ბეწვთან ერთად ყიდიან, ხდება მხოლოდ ხორცის შეფასება.

საქართველოში საკითხი მებოცვრების დარგის მიმართულების შესახებ, ჯერ კიდევ საკამათოა. ერთი უპირატესობას ანიჭებენ სახორცე-ტყავ-ბეწვეულის მიმართულების, მეორენი კი -ბროილერის მიმართულების ბოცვრებს. ბროილერის მიმართულების ბოცვრებს 3,5-4,5 თვის ასაკში იყენებენ სახორცე-ტყავ-ბეწვეული მიმართულების გამოსაზრდელად 1 ც ცოცხალ წონაზე შრომის დანახარჯი და საამორტიზაციო ანარიცხი თითქმის ერთანაირია, ხოლო საკვები 0,8 საკვები ერთეულით ნაკლებია ბროილერის გამოზრდის შემთხვევაში. სახორცე-ტყავ-ბეწვეულის მიმართულების ბოცვრებში პროდუქციის ხარისხი მაღალია.

მებოცვრების სახორცე მიმართულების ცხოველებს უპრატესობა გამოიხატება: ბოცვრის ხორცის ხარისხში, მალმწიფადობაში, ხორცის გამოსავლიანობის შრომის მცირედანახარჯებში. ფერმერულ მეურნეობებში ძირითადად აშენებენ სახორცე-ტყავ-ბეწვეულის მიმართულებების ბოცვრებს.

ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება ხელფასის გათვალისწინებით (ბოცვრების გამოზრდის დროს სხვადასხვა დანახარჯებით) გვიჩვენებს, რომ ბოცვრებს ხორცად ჩაბარების (ტყავ-ბეწვეულის გათვალისწინებით) საუკეთესო 5,0-5,5 თვის ასაკია. ამ ასაკში ბოცვრები იწონიან 3,5-4 კგ, ხოლო ბეწვს უკვე მეორედ იცვლიან, რაც შეეხება კომპლექსებს, სადაც ბოცვრების ინტენსიური გამოზრდა მიმდინარეობს, ბოცვრების ჩაბარების (სახორცე) საუკეთესო ასაკი 3,0-3,5 თვეა, ცოცხალი მასა შეადგენს 2,5-2,7 კგ.

ამერიკელმა მეცნიერებმა ტეხასის შტატში დაადგინეს, რომ ჰეტეროზისის ჰიბრიდული ძალა მემკვიდრეობითობის პროცენტის პროპორციულია. მაღალი მემკვიდრეობითობის სარისხი სუსტ წყვილებში სხვადასხვა ეფექტს იწვევს, ხოლო დაბალი მემკვიდრეობითობის ხარისხი მაღა-

ლი ჰიბრიდული ძალით გამოირჩევა
(ცხრილი 1).

ისეთი თვისებები, როგორიცაა ჰეტეროზისის ზომა და მემკვიდრეობითობის სიდიდე, დამოკიდებულია პოპულაციის გენეტიკურ სტრუქტურაზე. ნაჯვარები სხვა ცხოველებისგან განსხვავებით ადვილად ეგუებიან არახელსაყრელ ფაქტორებს. ნაჯვარები მშობლებისაგან პროპორციულად იღებენ თვისებებს, თუმცა ჰეტეროზისი ხანდახან ერთნაირი არ არის. ჰეტეროზისი უფრო ხშირად შესაჯვარებელ ცხოველზეა დამოკიდებული. შესაჯვარებელი ჯიშები, რაც უფრო მეტად განსხვავდებიან გენეტიკურად, მით უფრო ჭარბობს ჰიბრიდული ძალა ნაჯვარში. მემკვიდრეობითობისათვის დამახასიათებელი ჯიშური თვისებები სხვადასხვა ჯიშების თვალსაზრისით თითქმის 100 % აღწევს, ხოლო ინდივიდუალური სხვაობა 50 % არ აღემატება. ჰეტეროზისი უფრო ხშირად აისახება ნაჯვარის ჰეტეროზიგოტულობით, რომელიც ხალასჯიშიანებში 50 % შეადგენს.

ცხოველების შეჯვარება ერთმანეთისაგან თავისი მემკვიდრეობით განსხვავდება, რასაც მიღყავართ შთამომავლობის სიცოცხლის უნარიანობის გაძლიერებასთან, და დამოკიდებულია მშობლების ფორმების მეტკვიდრეობითობაზე.

ჰიბრიდები ადვილად ეგუებიან ცხოვრების პირობებს, უკეთსად იზ-რდებიან და ვითარდებიან, ხალასჯი-შან ცხოველებთან შედარებით.

შეჯვარება ეფექტურია, თუ შთა-
მომავლობა ითავსებს შესაჯავარებე-
ლი ჯიშების საუკეთესო თვისებებს.
ცდებმა გვიჩვენა რომ, ჰეტეროზი-
სის ეფექტურობისათვის ნაჯვარების
ხორცის და ბენვის პროდუქტიულო-
ბის ასამაღლებლად აუცილებელია
ისეთი ცხოველების შეჯვარება, რო-
მელთაც გააჩნიათ მემკვიდრეობი-
თობის მაღლი მონაცემები. დიდი
მნიშვნელობა აქვს ჯიშების შერჩე-
ვას. აუცილებელია შერჩევა, ჩატარ-
დეს ექსტრირირის, პროდუქტიულო-
ბის და კუბის დონის მაჩვინებლებით.

ნაჯვარები ითავსებენ ორივე მშობლის ნიშან-თვისებებს. მშობლის ზემოქმედება ზოგიერთ ბიოლოგიურ და სამურჩეო-სასარგებლო თვისებებს.

ცხრილი №1

მემკვიდრეობითობის მიახლოებითი კატეგორიები

კატეგორია	მემკვიდრეობითობა	ჰიბრიდული ძალა
I ხორცის სინაზე, კუნთოვანი ბოჭქოს ფართობი ექსტერიერის განაზომები მოზრდილი ცხოველის მასა, ცხიმიანობა, მერძეულობა	მაღალი, 50 % და მეტი	სუსტი, 5% და უფრო ნაკლები
II დანაკარგები სუქების დროს, მერძეულობა, დაბადებულის მასა, (კოცხალი მასა ასხლეტის დროს, სხეულის ფორმა (ტიპი))	საშუალო 20-დან 50%	საშუალო 5-დან 10%
III დედობრივი თვისებები, ინტერვალი მოვაბების (ბაჭიების დაყრის) შერის, განაყოფიერება	დაბალი, 20% და უფრო ნაკლები	მაღალი, 10 % და უფრო მეტი

ზე სხვადასხვა ბოკურებში სხვადასხვაგვარია. შეჯვარების ეფექტი დამოკიდებულია არა მარტო მშობლების წყვილების გადარჩევასა და შერჩევაზე, არამედ გარემოს პირობებზეც.

სახორცე პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებელების მისაღებად საჭიროა ყურადღება დაეთმოს მნარმოებლის შერჩევას. მშობლების ჯიშთაშორისი ტიპი ხელს უწყობს ჰეტეროზისის გამოვლენას. ჰეტეროზისის მიღების მიზნით, მნარმოებლები უნდა შეფასდნენ პროდუქტიულობით და შთამომავლობის ხარისხით. მაღალი კლასის მამლების შესაჯვარებლად გამოყენებამ მათი წარმოშობის, პროდუქტიულობის და შთამომავლობის მიხედვით, შეიძლება გააძლიეროს შთამომავლობის ჰიბრიდული ძალა.

ჰეტეროზისის გამოსავლენად დი-
დი მნიშვნელობა ენიჭება დედლების
თვისებებს. თუ დედალი მიკუთვნება
მსხვილ ჯიშს, შთამომავლობა უფრო
მსხვილია, ხოლო თუ დედალი ადგი-
ლობრივი ჯიშებიდანაა შერჩეული,

მაშინ ჰიბრიდული შთამომავლობაც
შეჩვეული იქნება ადგილობრივ პი-
რობებს. მამლების შერჩევის დროს
ითვალისწინებენ, იმას, რომ მამ-
ლები მეტყვიდრეობით გადასცემენ
ცოცხალ მასას. ნაჯვარი ბაჭიები ას-
ხლეტის დროს უფრო მეტს იწონიან,
ხალასჯიშიან თანატოლებთან შედა-
რებით.

ჯიშთაშორისის შეჯვარების გა-
მოკვლევებმა ბოცვრების სახორცე
(კალიფორნიული) სახორცე- ტყავ-
ბეჭვეულის (საბჭოური შინშილა),
სახორცე (ახალზელანდიური თეთ-
რი) ჯაშების შეჯვარებამ სპეციალი-
ზებული სახორცე-ტყავბეჭვეულის
(რუსი გოლიათი, თეთრი გოლიათი,
ვერცხლისფერი) ჯიშის მამლებთან
გვიჩვენა ხალასჯიშანი და ნაჯვარი
მოზარდი ბოცვრების ზრდის ახალი
კანონზომიერებები.

ამ კანონზომიერების არსი იმაში
მდგომარეობს, რომ ნავეგარ ბოცვ-
რებს ხალასჯიშიანებთან შედარე-
ბით ნაყოფიერება, (კოჭხალი მასა,



ჩონჩხის ძვლები, კუნთოვანი ბოჭკოები, შინაგანი ორგანოები ინტენსიურად ეზრდებათ 90-120 დღის ასაკამდე, ხოლო ხალასჯიშიანებს 160 დღის ასაკამდე, 120 დღის ასაკში ნაჯვარებში მთელი ორგანიზმის და ცალკეული ორგანოების ზრდა მცირდება, ხოლო ხალასჯიშიანების თანატოლებში გრძელდება 160 დღის ასაკამდე, ნაჯვარი ბოცვრები ხალასჯიშიანებთან შედარებით გამოირჩევიან მაღლინიფადობით, ზდის მაღლი ინტენსიურობით. F1 ნაჯვარების საკვების და საკვები ნივთიერებების გადამუშავების მაჩვენებელი უფრო მაღლია, სისხლი შეიცავს მეტ ცი-

ლებს, განსაკუთრებით კი ცილოვან ფრაქციებს, უკეთ ვითარდება საჭმლის მომნელებელი ორგანოები. ყოველივე ეს მიუთითებს ორგანიზმის მაღლ ცხოველმოქმედებაზე, რაც შეჯვარების ეფექტიურობას ნიშნავს.

პირველი თაობის ბოცვრებში ინტენსიურად მიმდინარეობს ორგანიზმის ზრდის პროცესები, განსაკუთრებით 60-90 დღის ასაკში ნაჯვარები თავის ხალასჯიშიანი თანატოლებისაგან გამოირჩევიან ზრდის მაღლი ინტენსიურობით, იძლევიან კარგი ხარისხის ხორცს და ტყავ-ბენზინულს.

ჰეტეროზისი უმაღლეს ეკონომიკურ ეფექტს იძლევა, როცა ნაჯვარი

საკვების და საკვები ნივთიერებების გადამუშავების მაჩვენებელი უფრო მაღლია, სისხლი შეიცავს მეტ ცი-



ცხოველები უმეტესი მაჩვენებელებით აღემატება მშობლების საუკეთესო პოპულაციას.

მრავალწლიანმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ნაჯვარი ცხოველების ეკონომიკური მნიშვნელობა წარმოებაში უნდა განისაზღვროს მშობლების ჯიმთან შედარებით.

ჯიშთაშორისი სამრეწველო შეჯვარება სახორცე და სახორცე-ტყავბენვეულის ბოცვრის ჯიშების სახორცე ჯიშის მამლებთან საშუალებას იძლევა, მოკლე დროში გააუმჯობესდეს ბოცვრების სახორცე პროდუქტიულობა, ხორცის და ტყავ-ბენზინულის ხარისხი, აგრეთვე სახორცე მებოცვრეობის სწრაფი განვითარებისათვის დედისეული ფარის შექმნა.

ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანაში გათვალისწინებულია სახორცე მიმართულების მებოცვრეობის დარგის განვითარება. ამისათვის აუცილებელია სამრეწველო შეჯვარებით მიღებული ნაჯვარი დედლების დიდი რაოდენობით დატოვება, სახორცე ფარის მოშენების შემთხვევაში, ყურადღება მიექცეს ნაჯვარი ცხოველის უნარს – მეტენერებით მიიღოს მაღლი აღნარმოებითი მაჩვენებლები.

გლობალური განვითარების აკადემიკოსი

გაცურავის გვარდი

ფურცელის რჯახის თვითგანახლების უნარი - თარგათა ცვლა

რჯახის ფურცელის გაცურავის ული ხანგრძლივობა აძვთ, მაგალითად, დადა ფურცელი რამდენიმე თვეს ცოცხლობა – ხოლო მუშა, გარდავეულ გარემოებები და გამოიიდაგულებით, რამდენიმე დღიდან რამდენიმე თვემდე. გაზაფხულსა და ზაფხულში გუგა ფურცელის ცოცხლობის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 35 დღეა.

შესაძლოა მეფუტკრისთვის შეუმნის მარაგების დარჩეს, მაგრამ გაზაფხულსა და ზაფხულში ფუტკრის ოჯახში დღე-ღამის განმავლობაში რამდენიმე ასეული მუშა ფუტკრი იღუპება ფიზიოლოგიური (სიბერით, ცვეთით) სიკვდილით. დანაკლისის კომპენსაცია დედა ფუტკრის ინტენსიური კვერცხდებით ხდება. ოჯახის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად მუშა ფუტკრე-

ბი გაძლიერებულად კვებავენ დედა ფუტკარს, რომელიც მიღებული საკვების ულუფის შესატყვისი რაოდენობის კვერცხს დებს ფიჭის უჯრებში.

ოჯახში მუშა ფუტკრების ცვეთის, დაბერებისა და სიკვდილის ინტენსივობას განაპირობებს ის დატვირთვა, რომელიც კონკრეტულ თაობებს უწევთ: ფუტკრის მოზარდი თაობების აღზრდის, ბუდის მშენებლობის,

საკვები მარაგების შექმნის და სხვა მოვალეობების შესრულებისას. მაგალითად, ძლიერი დალიანობისას, როდესაც დროის მცირე მონაკვეთში მუშა ფუტკრებს ათობით კილოგრამი ნექტრის მოტანა და თაფლად გადამუშავება ევალებათ, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა შესაძლოა 20 დღეზე მეტს არც კი შეადგინდეს და ოჯახში თაობათა ცვლა ძალიან სწრაფად უნდა მოხდეს, რომ ოჯახი ნევრების ნაადრევი „სიბერით“ არ დაიღუპოს.

ზამთრის მოახლოებისას, როდესაც დალიანობა შემზყდარია და ოჯახს გარეთ შესასრულებელი საქმეებიც მოღებული აქვს, მუშა ფუტკრების შემოდგომის თაობა მოსვენებულ

მდგომარეობაში აგრძელებს ცხოვრებას გვიან გაზაფხულამდე. მისი ამოცანა მხოლოდ ბუდის გათბობა და ოჯახის გადაცივებისგან დაცვაა. ასეთ დროს ოჯახში კვერცხდების პროცესი შემწყდარი ან ძალიან შენელებულია, შესაბამისად, მუშა ფუტკრების ცვეთა ისე სწრაფად არ ხდება; მუშა ფუტკარმა ასეთ ვითარებაში შესაძლოა 6 თვემდეც კი იცოცხლოს და სიცოცხლის ბოლო თვეს მოუნიოს ძინა ფუტკრის მოვალეობის შესრულება, გაზაფხულზე, როდესაც ბუნებაში კვლავ ჩნდება ნექტრის აქტიური წყარო და ფუტკრის თაობათა ცვლა გარდაუვალი აუცილებლობა ხდება.

ფუტკრის ოჯახში თაობათა ცვლის თავისებურებები წლის სხვადასხვა მონაკვეთში იცვლება. მაგალითად, ზამთარს ოჯახი დაახლოებით 7-10 ათასი მუშა ფუტკრით წვდება ხოლმე, გაზაფხულზე კი, დედა ფუტკრის ინტენსიური გამოკვების ხარჯზე, ოჯახში კვერცხდების პროცესი უფრო და უფრო ინტენსიური ხდება და დედა ფუტკარს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა



უნევი. შედეგად, ოჯახი იზრდება ზომაში – მასში 40 000-მდე მუშა ფუტკარია ერთდროულად წარმოდგენილი.

იმისთვის, რომ ოჯახმა მრავალ-რიცხოვნობას მიაღწიოს, რამდენიმე პირობა უნდა იყოს დაკმაყოფილებული: დედა ფუტკარმა უნდა შეძლოს ინტენსიური კვერცხდება, მუშა ფუტკრებს უნდა შეეძლოთ დედა დედა ფუტკარს საკუთარი შესაძლებლობებისა და მის მიერ დადებული

კვერცხიდან გამოწეული მოზარდების გამოკვება და მოვლა, რისთვისაც მათ უნდა ჰქონდეთ საკვების საკმარისი მარაგი და ჯანმრთელობა.

გარდა ამისა, ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობა აგრეთვე დამოკიდებულია ოჯახის ჯანმრთელობაზე, დაავადებული ფუტკრის სიცოცხლე, ჯანმრთელთან შედარებით, ხანმოკლეა.

აგრონომის გვრცელები



კიონხვა-ქასუხი

რეპრიკას უძღვება „აგრონომის გვრცელები“
Agroface.ge info@agro.ge

რა არის კიონხვა-ქასუხი და როგორ მოვალეობა?

მოგვიხარით არ დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge
ასუსტ მიმღები ურნები „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

1. სოია და სიმინდის დავთესე ერთად, შევურივ სიმინდის თესლზი, როგორ გამოვავხო, ჩვეულებრივად როგორც სიმინდს ვაძლევი აზოთის სასუქს თუ სხვაგვარად უნდა მოვიძოვ?

– ორივე კულტურისთვის, ფოთლოვან გამოკვებაში შეგიძლიათ გამოიყენოთ სასუქები: „ბიოაქტივი“, „აგამინ ექსტრა“, „აგასოლი“ N₅K 19:19:19; N₅K 13:40:13.

2. ტყეობის ხეს ცემოვანი გამოხადები აქვს, როგორიც არის მიმღებარი. ვს დაავადებაა რამე? თუ დაავადებაა, როგორ უძღვოთ?

– გუმოზი ან წებოს დენა ერთ-ერთი საყურადღებო და-ავადებაა (არსებობს პარაზიტული და არაპარაზიტული). მის წინააღმდეგ რეკომენდებულია დაზიანებული ტოტე-

ბის მოცილება ან შტამბიდან მისი ამოკვეთა. ჭრილობის დეზინტერიზაცია 2%ბორდოს სამუშაო ხსნარით და შემდგომ ბალის მაღამოთი ამოვსება.

3. ვცხოვრობ აღიგენზი, ნინიგურას დათვესვა მინდა, მირჩის გაისის გოლოს, ივნისის დასაცისში პლასტიკური დათვესონ. თავიც რას მიჩინოთ?

– ნინიბურა უნდა დაითესოს მაშინ, როცა ნიადაგის ტემპერატურა სტაბილური გახდება, (როცა ტემპერატურა 12-15°C მიაღწევს).

4. მეური ცელინებია იონება მითვედია და ყოველ ცელს საბოთვებით ვთიბავ და კარგ მოსავალსაც ვიღებ. რამდენ ცელინები ერთხელ ითესება იონება. სა-

დაც მითხვით შეიძლება გადავხნა და ისევ დავთესო
თუ ხაკვეთი უდეა შევუცვალო?

– იონჯა მრავალწლიანი პარკოსანი კულტურა – 5-7
წლიანი ციკლით, შესაბამისად, განახლებაც აღნიშნულ
ვადაში ხდება.

5. კიტრს უამრავი ზვავილი გამოაძვს, მაგრამ ეაყოფს
არ იპეტობს, არსებობს რამ გეოლოგი რომ უნაყოფო
ზვავილების რაოდენობა შემცირდეს და სანაყოფი ზვა-
ვილები გაუმდინარეს?

– ზემოთ ხსენებული პრობლემები (ცრუ ყვავილი) შე-
საძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა მიზეზებმა: არასწორად
მოვლამ, ჭარბი ცივი წყლით ირიგაციამ, ტემპერატურის
მკვეთრმა ვარდნამ, განათების ნაკლებობამ, არასაკმა-
რისმა კვების არემ, არასწორად შერჩეულმა სასუქებმა.
ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, მდედრობითი
ყვავილის წარმოქმნისთვის რეკომენდებულია სწორედ
შერჩეული სათესლე მასალა, თავის წანყვეტა (ასე გვერ-
დით ტოტებს ივითარებს, რაზეც მდედრობითი ყვავილი
გამოდის) და ყვავილობამდე და ყვავილობის შემდეგ ამი-
ნოაგა CAB-ით გამოკვება.



კიონტკა-პარტნერი

რუსეთის უკლიესი „აგროცხარტია“ ასოციაცია
Agroface.ge info@agro.ge

გრძელი კიონტკა უმუტერინერთან?

მოგვიხარით ან დარეკა, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge
ასაშეს მიიღობთ ურნები „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

1. მსურს საცველი აპარატის ყიდვებს 15 ძროსისთვის.
მირჩით რომელი და რა ტიპის საცველი აპარატი იძ-
ნება ზვალაზე გარატივი და იოლად გამოსახვებელი
და კიდევ, რომ იმუშავს გენერატორზე.

– გირჩევთ გამოიყენოთ სანველი აპარატი, რომელსაც
აქვს ინტეგრირებული გენერატორი.

რადგან, 15 სული გყავთ დროის დაზოგვის მიზნით,
ჯობს არჩევანი ორ სისტემიან აპარატზე შეაჩეროთ, რომ-
ლის ბიდონი იქნება 40 ლიტრიანი უჟანგავი ლითონისგან
დამზადებული.

2. რძის ფენელით ხარებისთვის რომ რძი დავამზა-
დო, როგორი დოზით უდეა გავხსნა წყალში?

– გამარჯობა. კომპანია „როქის“ სავაჭრო ცენტრ „აგ-
რიქულაში“ გაყიდვაში გვაქვს საუკეთესო ხარისხის რძის
ფენელიდები: ევროლაკ გრინი და ევროლაკ ეკონომი. მათი
ყოველი ერთი კილოგრამი იხსნება 10ლიტრ წყალში. გრი-
ნის მიცემა ხდება ჩვილი ხბოებისათვის 1თვემდე, ხოლო
ეკონომი 1თვის შემდგომ ასაკში.

3. არსებობს რამ საშუალება აგრესიული ქაღლი
უფრო გვაიძი და თვინიერი რომ გახდეს?

– მოგესალმებით უცირველეს ყოვლისა, მხედველობაში
უნდა მივიღოთ მიზეზები, რომლებმაც ძალის ხასიათის
ცვლილება გამოიწვია და შესაბამისად გავუუმჯობესოთ
მოვლის ა და კვების პირობები. „აგრიქულაში“ გვაქვს ან-
ტისტრესინის აბები, რომლებიც მათ სხვადასხვა მიზეზით
გამოწვეულ შფოთვასა და სტრესს მოუხსნის. დეტალური
ინფორმაციისთვის შეგვეხმიანეთ და გვერციეთ მითიოე-
ბულ ნომერსა ან მისამართზე.

4. ძროსა მესამე მოგებაზე, მაგრამ უავა მომრად არ
დაიცვა თავი, კარგი ჯიშია, 16 ლიტრამდე იცველის,
ჩასაბარებლად მინერალური არსებობას საშუალება მარ-
ცველობის თუ როგორ მოვიდო?

– გამარჯობა. თავის არ დაცვაში რა იგულისხმეთ ალ-
ბათ, მოხდა შეჯვარება და არ დამაკდა. უნდა დაკონკრეტ-
დეს აგრეთვე ის მდგომარეობაც: არის თუ არა ახურების
პრობლემა, თუ მხოლოდ დამაკება არ ხდება. ჩაბარების
მომენტამდე ჯერ ვუმეურნალოთ. არსებობს აპრობირებუ-
ლი მეთოდი ჩვენს გუნდში, რომელსაც სასურველ შედეგე-
ბამდე მივყავართ. ძრობას ვეკურნალობთ ოქსიტრაცი-
ლინ 200-თ და ვიტამინი ადვე-თი, პრეპარატები კეთდება
შესაბამისი მითითებებით. დეტალური საუბრისთვის კი
დაგვიკავშირდით ან გვერციეთ. გისურვებთ წარმატებებს.

5. ფუტკრები მიქრება სკიდან, უკვე მესამე სკა დაი-
ცალ მთლიანად, სკასთან არც დახოცილი ფუტკრი
შრია, რა მოვლენასთან მაქვს საქმე. რამდენიმე ცალ-
დაღი მაუტკრებას მივდევ და შესაბამისად არც
იდიო გამოცხვილება გაქვს, რას მირჩით?

– გამარჯობა, აქ რამდენიმე მიზეზთან გვაქვს საქმე-თუ
სკასთან ნაგლეჯებს, ფიჭის ნამცეცებს პოულობთ, შესაძ-
ლოა გაქურდვასთან პერიდეს საქმე-გასარკვევია ისიც, და-
ამუშავეთ თუ არა ტკაპებზე, ვინაიდან დიდი დატკიბიანე-
ბისას, ფუტკარი თავად ტკვებს სკას. შესაძლოა ამ სკაში
არ იყოს დედა ფუტკარი და ამ დროსაც ტკვებს ფუტკა-
რი სკას; მაგრამ თუ სკაში არის ბარტყები (ანუ სკაში დედა
ფუტკარია), მაშინ უნდა ინახოს ბარტყები რა მდგომარეობა-
შია. შესაძლოა დაზუსტებისთვის ნიმუშის წარდგენაც გახ-
დეს საჭირო უფრო კონკრეტულად კი, ჯობს შეგვეხმიანოთ
და მოვახდეთ თქვენს სპეციალისტთან დაკავშირებას.

შექმნილი მომავალი
საუკეთესო ტრაქტორთან
ერთად!

VALTRA

YOUR
WORKING
MACHINE



ვიცერი კომანის ვალტრას

ასალი თაობის ტრაქტორები -
სასოფლო-სამურეო,
საგზაო-კომუნალური და სამუნიციპალური
სამუშაოებისთვის!

წარმომადგენელი საქართველოში:

WORLD TECHNIC
სასოფლო ტექნიკა

www.worldtechnic.ge info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00 ☎ 2 18 18 81



გამოიცვალეთ ჟურნალი „აგრარული საქართველო“

ჟურნალის ერთი ცლით გამოცვალა დღის – 36 ლარი
ნახევარი ცლით – 18 ლარი.

გამოცვალა შესაძლებელია პრესის გაზრდების
სააგენტოს elva.ge-ს

(ტელ.: 577 30 88 47; 032 238 26 73; 032 2 38 26 74),

ასევე პგს ი/მ „ნინო ტომარაძის“

ტელ.: 571 01 62 22 მეშვეობით,

ან ჟურნალ „აგრარული საქართველოს“

რედაქციაში,

ტელ.: 599 16 18 31.

დაგვიკავშირდით მითითებულ ტელეფონის
ნომრებზე და თქვენ მარტივად შეძლებთ ჩვენი
ჟურნალის გამოცვალას და
შეთანხმებულ მისამართზე მიღებას.

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com